საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 114 (916) · პარასკევი 24 ივნისი 1994 წელი. · ფასი 10000 კუპონი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის შექმნის შესახებ

ბოლო დროს აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს, ისე რუსეთისა და სხვა ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენათა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ობიექტურად და ოპერატიულად გაშუქების მიზნით აუცილებელია ამ ეტაპზე საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფილი სისტემის შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. შეიქმნას აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლონდერ ცაავა** — ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

2. **ვახტანგ აბაშიძე** — ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის გენერალური დირექტორი;

3. **ზაზა შენგელია** — ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის საინფორმაციო პოლიტიკის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე;

4. **არჩილ გოგელია** — საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარე;

5. **ზურაბ გოგიაშვილი** — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი;

6. **რაფიელ ბელანტია** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი;

7. **დავით დემეტრაშვილი** — რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი;

8. **აპოლონ სილაგაძე** — გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი;

9. **რამაზ სიჭინავა** — რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებული აფხაზეთის საკითხებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

10. **იოსებ ტყებუჩავა** — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის ხელმძღვანელი;

11. **ედიშერ ჩარგაზია** — ქ. ზუგდიდის გამგებელი;

12. **ვახტანგ ყოლბაია** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გალის რაიონის გამგებელი.

2. აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა უზრუნველყოს ობიექტური, ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების სრულყოფილი, მოქნილი სისტემის შექმნა, რისთვისაც კონფლიქტის რეგიონიდან ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს საქინფორმთან, სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოსთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ლტოლვილთა და ადგილგადანაცვლებულ პირთა სპეციალური კომისიის, აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი დაბრუნების პრობლემათა მოსაგვარებელი მუდმივმოქმედი შტაბის, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, სხვა ძალოვანი სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების პრესსამსახურებთან. ამასთან, თავის საქმიანობაში ფართოდ გამოიყენოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრაქტიკა. გაითვალისწინოს საზოგადოებრიობის წერილებსა და განცხადებებში, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

3. საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა საქინფორმთან ერთად ოპერატიულად გაავრცელოს მოპოვებული ინფორმაცია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უცხოეთში საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკაში უცხოეთის ქვეყნების საელჩოებში, გაეროში, ევროგაერთიანებაში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ საქმეში სრულად იქნეს გამოყენებული „საქინფორმისა" და „იტარ-ტასს" შორის დადებული ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

4. საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა ორგანიზაცია გაუწიოს რეგიონში აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის ბრიფინგების, პრესკონფერენციების მოწყობას, მოახდინოს დროული და კვალიფიციური რეაგირება საქართველოს თუ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ტენდენციური და დამახინჯებული ინფორმაციის გადაცემის თითოეულ ფაქტზე, დროულად განახორციელოს და შემდგომში მკაცრი კონტროლი გაუწიოს რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების აკრედიტაციას, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ პროფესიულ საქმიანობაში.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს (ი. ანდრიაძე) განახორციელოს ღონისძიებები საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, ოპერატიულად გადაწყვიტოს პირველი რიგის ამოცანები (თან ერთვის) მის სასწრაფოდ ასამოქმედებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (უ. ინჯია), დეპარტამენტებმა „საქენერგო" (ი. ჭედია) და „საქნავთობპროდუქტები" (დ. ზუბიტაშვილი) უზრუნველყონ საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, მკაცრი კონტროლი გაუწიონ მათ შესრულებას.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

რესპუბლიკის რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მართვის ზოგიერთი საკითხის შესახებ

რესპუბლიკის რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

1. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ცალკეული შემთხვევებისა და სტიქიური პრივატიზაციის ფაქტების შესწავლის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 11 აპრილის განკარგულების შესაბამისად შეიქმნას კომისიები რაიონის (ქალაქის) ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციული და მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით.

2. დარგობრივმა სამინისტროებმა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ოპერატიულად გადაწყვიტონ ცალკეული ობიექტების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის საკითხი და შეთანხმებული წინადადებები წარუდგინონ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.

3. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ეკონომიკური მეთოდების საშუალებით ხელი შეუწყონ უკვე პრივატიზებული საწარმოების მართვის პროცესს და მათი საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებას.

4. ვაუჩერების დარიგების ორგანიზაციისათვის დაჩქარდეს რესპუბლიკის მოქალაქეთა სიების შედგენა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში დროულად წარდგენა. ამისათვის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს.

ე. შევარდნაძე.

შეხვედრა ამერიკელ სპეციალისტთან

22 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკელი პროფესორი დოქტორი მაკ-ქური — მისიოლოგიის სპეციალისტი, ქრისტიანობისა და ისლამის მკვლევარი. იგი გახლავთ ავტორი ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი მიძღვნილი წიგნისა „აბრაამის დაკარგული შთამომავლობის მოძიება". სტუმარმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა წიგნის ერთი ეგზემპლარი ავტოგრაფით.

საუბარი შეეხო ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროთა ურთიერთობას და საქართველოს როლს კავკასიის რეგიონში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ქართველთა და აფხაზთა შორის არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა!

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადება

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობისთანავე დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა რუსეთის ხელისუფლებასთან, გაეროსთან, ევროთათბირთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. შესრულებულია უდიდესი სამუშაო: 1993–94 წლებში უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალურად აფხაზეთის ვითარებისადმი მიძღვნილი 9 რეზოლუცია, წლეულს, მარტში, მე გამოვედი ნიუ-იორკში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ვერ ვიტყვით, რომ გაეროს ეს ძალისხმევა უშედეგო იყო: მათ აღმოგვიჩინეს გარკვეული მატერიალური, საექსპერტო თუ სხვა სახის დახმარება. საერთაშორისო თანამეგობრობამ უპირობოდ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

როცა აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ფონი, ის ზოგადპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ეს მოვლენები განვითარდა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ის ერთგვარი გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში და უშუალოდ მის შემდგომ. ეს დაპირისპირება გარკვეული დროის მანძილზე, სამწუხაროდ, არა თუ ვერ იქნა გადალახული, არამედ ინერციის ძალით ესკალაციასაც კი განიცდიდა.

მთელი ამ დროის მანძილზე, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე, ორივე სახელმწიფოს ხელისუფლება დაუღალავად ზრუნავდა ზემოხსენებული სახიფათო ტენდენციის დასაძლევად, ურთიერთშორის ნორმალური, კეთილმეზობლური დამოკიდებულების დასამყარებლად. მათს პოლიტიკაში დაიწყო ძირეული შემობრუნება, რის დაგვირგვინებადაც უდავოდ უნდა ჩაითვალოს წლეულს თებერვალში, საქართველოში ბორის ელცინის ვიზიტი. განისაზღვრა ის პრინციპები, რომლებზეც უნდა აიგოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უახლოეს მომავალში და შორეულ პერსპექტივაში. შეიძლება ითქვას, რომ ყინული გალღვა, დაიწყო ახალ ურთიერთობათა მშენებლობა ორ ქვეყანას შორის.

საქართველო გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი. ეს უეჭველად ახალი, მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ახალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს გაეროს ეგიდით, რუსეთის შუამავლობით, მეგობარი ქვეყნების, აგრეთვე ევროთათბირის დახმარებით მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესის — კონფლიქტში მონაწილე მხარეების უშუალო მოლაპარაკების დაწყება. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის ამ მოლაპარაკებაზე შესამჩნევი შედეგებია მიღწეული. მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის წარმატებული მიმდინარეობა განამტკიცებს ჩემს რწმენას, რომ ქართველთა და აფხაზთა მორიგება შესაძლებელია. მინდა კიდევ ერთხელ საქვეყნოდ დავადასტურო, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა, არც ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც შეუძლებელი იქნებოდა.

პრინციპული მნიშვნელობის მოვლენად მიმაჩნია ის აქტიური, ქმედითი თანამშრომლობა, რომელიც ჩამოყალიბდა ერთი მხრივ, რუსეთსა და საქართველოს, ხოლო, მეორე მხრივ, გაეროს, მის გენერალურ მდივანსა თუ უშიშროების საბჭოს, ევროთათბირს, მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას შორის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული სამხედრო, მატერიალურ-ტექნიკური, ჰუმანური თუ სხვა საკითხების გადაჭრის საქმეში. რუსეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო აქცია, რომელსაც მხარს უჭერენ დსთ-ს წევრი ქვეყნები, განხორციელდება გაეროს ეგიდით მოქმედი საერთაშორისო მეთვალყურეების კონტროლით. ლტოლვილთა მშობლიურ კუთხეში დაბრუნებასა და მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში აქტიურად მონაწილეობენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლები.

ამასთანავე, ჩემი ღრმა რწმენით, კონფლიქტის მოწესრიგებაში, გადამწყვეტ სიტყვას, რა თქმა უნდა, რუსეთის სამშვიდობო შეიარაღებული ძალები იტყვიან. მათი როლი ამ საქმეში განუზომელია, მათი მოქმედება არ შეიძლება იყოს მიმართული ქართველი ან აფხაზი ხალხების საზიანოდ, პირიქით, ის ფუნქცია, რომელიც მათ აფხაზეთში უნდა შეასრულონ, სრულად შეესაბამება ამ ორივე ხალხის, საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესებს. ამავე დროს, ნათელია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრა, საქართველოში სტაბილურობისა და წესრიგის განმტკიცება რუსეთის სასიცოცხლო სახელმწიფოებრივ ინტერესსაც შეადგენს. მაშასადამე, უნდა გვჯეროდეს, რომ მეტად მძიმე შედეგების გამომწვევი ის შეცდომები, რომლებიც სამწუხაროდ, ესოდენ დამახასიათებელი იყო აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიისათვის, ამჯერად აღარ განმეორდება. ამის გარანტიას გვაძლევს ჩემი და ჩემი კოლეგების შეხვედრები და საუბრები რუსეთის პრეზიდენტთან, თავდაცვის მინისტრთან, მის მოადგილეებთან თუ წარმომადგენლებთან, რუსეთის დიპლომატიის ხელმძღვანელებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

აფხაზეთში მშვიდობის მალე დამყარების რწმენას აძლიერებს აგრეთვე მოლაპარაკების ის პროცესი, რომელიც განახლდა და საკმაოდ ინტენსიურადაც მიმდინარეობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ საკითხზე ერთობლივი ღონისძიებების შესახებ მხარეები უკვე შეთანხმდნენ. აქ საქმის სწრაფი წინსვლის იმედს აძლიერებს ის ფაქტი, რომ ცხინვალში დაგომისის შეთანხმებათა საფუძველზე უკვე კარგა ხანია იმყოფებიან რუსეთისა და კონფლიქტის მხარეების ერთობლივი სამშვიდობო ძალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ კუთხეში სისხლისღვრის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების საქმეში, რითაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის დაწყებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლეულს, სექტემბერში, მოსკოვში გაიმართება დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მორიგი თათბირი, რომელზეც რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთ ერთგვარი ანგარიშის ჩაბარება მოუწევთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზაზე მიღწეული შედეგების შესახებ. ვფიქრობ, რუსეთის და საქართველოს ხელმძღვანელები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული, რათა ამ დროისთვის აფხაზეთში მშვიდობისა და წესრიგის დამყარების მიმართულებით ძირითადი, გადამჭრელი ნაბიჯები უკვე გადადგმული იყოს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ წლეულს, სექტემბრის დამლევიდან მუშაობას შეუდგება გაეროს გენერალური ასამბლეა, რომლისთვისაც აფხაზეთის კონფლიქტის წარმატებით მოგვარების ფაქტი ფრიად საგულისხმო პრეცედენტი შეიძლება გახდეს.

რა თქმა უნდა, საქართველოს შეეძლო აერჩია აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის გზა, მაგრამ ღრმად მწამს, მსოფლიოში ბოლო ათწლეულში მომხდარი რევოლუციური ძვრების ფონზე უპირატესობა უდავოდ პოლიტიკური, მშვიდობიანი მოწესრიგების ვარიანტს უნდა მიენიჭოს. ამიტომაც მაქვს იმედი, რომ ჩვენს ამ კურსს მოიწონებს და მიესალმება საერთაშორისო თანამეგობრობა, ხოლო მის განხორციელებაში მხარს დაგვიჭერს მსოფლიოს ყველა პროგრესული ძალა.

სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 22 ივნისის პრესკონფერენციამ, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას მიეძღვნა, შეკრიბა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის ფაქტობრივად ყველა საშუალების წარმომადგენლები და რესპუბლიკაში მომუშავე საზღვარგარეთელი კორესპონდენტები. რუსეთის ფედერაციის საბჭოს წინადღით მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ფაქტობრივად, მწვანე შუქი მისცა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანის დასახულ და გულდასმით დაგეგმილ ოპერაციას და მუდმივი ცხოვრების ადგილებში ლტოლვილთა შემდგომ ეტაპობრივ დაბრუნებას. ამრიგად, დამთავრდა მოლაპარაკების ძნელი და ხანგრძლივი ეტაპი, რომელსაც უნდა მოჰყვეს უკვე პრაქტიკული ღონისძიებანი. თავის მოკლე განცხადებაში სახელმწიფოს მეთაურმა შეაფასა ეს ეტაპი და მოხაზა მისი განვითარების პერსპექტივები.

უპასუხა რა ჟურნალისტთა მრავალ კითხვას, სახელმწიფოს მეთაურმა, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. მაგრამ, ამავე დროს, იგი არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვითარების სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი. დაპირისპირებამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ბევრი პრობლემა წარმოქმნა რუსეთის სამხრეთში. ამიტომ ჩვენში დასახული მშვიდობიანი პროცესების წარმატება აუცილებლად შედის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებში.

რაც შეეხება აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, შეგვიძლია განვიხილოთ აფხაზთა მხარის ნებისმიერი წინადადება ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ფარგლებში. მზად ვართ აფხაზეთს მივანიჭოთ ისეთი სტატუსი, რომელიც შეესაბამება უმაღლეს მსოფლიო სტანდარტებს. მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს და იგი გაგრძელდება ივნისის დამლევს ჟენევის მორიგ შეხვედრაზე.

განმარტა რა ახლახან ვლადიკავკაზში გამართული საქართველო-ოსეთის მოლაპარაკება, ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა მისი შედეგები, რომლებიც იძლევა სატრანსპორტო მაგისტრალების მუშაობის განახლების, კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე ადამიანთა გადაადგილების, დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის ერთობლივი მუშაობისა და სხვა საკითხებზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აფხაზეთისაგან განსხვავებით ცხინვალში უკვე შექმნილია სამშვიდობო ძალების მუშაობის გარკვეული გამოცდილება და ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის საბოლოო მოგვარების პროცესის გაღრმავებისათვის.

კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია ბოლო ხანს გამოთქმული იდეა სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ბაზაზე კონფედერაციის შექმნის შესახებ, ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა: რუსეთმა ახლა იკისრა ახალი მისია, რომლის შესრულება გულისხმობს ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას, მათთან თანასწორუფლებიანი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

როგორია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიცია ოპერაციისადმი, რომელიც ახლა ხორციელდება? რუსეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა ოპერაციის გეგმა შეუთანხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს-ბუტროს გალის და მან მოიწონა იგი. მაშასადამე, ცხადია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერს რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ძალისხმევას ამ მიმართულებით.

შეეხო რა, კონფლიქტებს კავკასიის სხვა რეგიონებში, კერძოდ, ყარაბაღის პრობლემას, სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ აფხაზეთში სამშვიდობო მისიის წარმატებამ შეიძლება ყარაბაღშიც სტიმული მისცეს პოზიტიურ პროცესებს.

იმ ტრაგედიის მიზეზების ანალიზის დროს, რომელიც საქართველოს ბოლო წლებში დაატყდა თავს, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ეს ტრაგედია მომდინარეობს რუსეთთან ურთიერთობაში არასწორი, მცდარი კურსიდან, რომელსაც საქართველო დაადგა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. სწორედ ამ კურსის გამო აღმოჩნდა ქვეყანა სრულ იზოლაციაში, რასაც, კერძოდ, მოჰყვა კიდეც აფხაზეთის დაკარგვა. სხვათა შორის, სოხუმის დაცემის მთავარი მიზეზი ღალატია და არა ქალაქს შემოსეული ძალების უპირატესობა. და, ამის მიუხედავად, ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა ლტოლვილთა დაბრუნება და არა იმ პირთა ძებნა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ტრაგედიაში. მოვა დრო და ყველაფერს მიეცემა ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასება.

რას წერს ბორის ელცინი ედუარდ შევარდნაძის შესახებ წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები"

პოლიტოლოგიური ჩანაწერები

1. მსოფლიო შევარდნაძემცოდნეობა

მოსკოვში, ამას წინათ, რუსულ ენაზე გამოვიდა ბორის ელცინის ახალი წიგნი „პრეზიდენტის ჩანაწერები". ეს წიგნი მალე გამოიცემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მას დიდი ინტერესით ელოდებიან დედამიწის ხუთივე კონტინენტზე, რადგანაც რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად დღეს შეუძლებელია მსოფლიოს ხალხების ინტერესთა ბალანსისა და კონსესუსის მიღწევა.

ბორის ელცინის „პრეზიდენტის ჩანაწერები" მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. მას დიდი პოლიტიკური, ისტორიული, პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური და მემუარული მნიშვნელობა აქვს. ის ეპოქის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

მას ათასი წლის შემდეგაც ინტერესით წაიკითხავენ რუსეთსა და საქართველოში მომავლის ისტორიკოსები და მემატიანენი.

ხომ ვკითხულობთ დღეს ინტერესით, მაგალითად, ივანე მრისხანისა და კნიაზ კურბსკის მიმოწერას?! კარამზინის „ისტორიას", ეკატერინე II-ის მიმოწერას ფრანგ ფილოსოფოსებთან?!

მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსთა და დიპლომატთა შორის მრავალი გრადაცია არსებობს, მაგრამ მე გამოვყოფდი ორ დიდ პლეადას: კონსერვატორებსა და რეფორმატორებს.

კონსერვატორები და ნეოკონსერვატორები მსოფლიო აღიარებას ძირითადად აღწევენ არსებულ პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემის, დემოკრატიის ერთგულებითა და დაცვით.

რეფორმატორები კი ეროვნული და მსოფლიო პოლიტიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი სრულყოფით, დემოკრატიული პოლიტიკისა და დიპლომატიის ახალი სტრატეგიული და ტაქტიკური მოდელების, ახალი თეორიებისა და დოქტრინების შექმნით აღწევენ კაცობრიობის აღიარებას.

დიდი პოლიტიკოსი და დიპლომატი ედუარდ შევარდნაძე რეფორმატორთა პლეადას ეკუთვნის.

მისი როლი XX საუკუნის ისტორიაში კოლოსალურია. დავაკვირდეთ ისტორიულ ფაქტებს:

საბჭოთა იმპერიისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის რღვევა, ვარშავის პაქტის დაშლა, ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანიის გაერთიანება და სხვა მსოფლიო-ისტორიული გარდაქმნები რომ არა, არამცთუ საქართველო, არამედ ვერც ერთი თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან (თვით რუსეთიც) ვერ მოიპოვებდა სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ვერ დაიჭერდა ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში.

ეს მსოფლიო-ისტორიული ძვრები, რომლებმაც კაცობრიობა გადაარჩინეს მესამე მსოფლიო ომს, — იწყება „დიდ რეფორმატორთა ტრიუმვირატით", რომელშიც ედუარდ შევარდნაძე ფაქტობრივად იყო უფრო აქტიური მოღვაწე, ვიდრე თვით „პრიმუს ინტერ პარეს" („პირველი თანასწორთა შორის").

გავიხსენოთ XX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის დიდი გარდატეხის თუნდაც საწყისთა საწყისი.

ამ კოლოსალური ძვრების შესახებ მოგვითხრობს ედუარდ შევარდნაძე თავის წიგნში „ჩემი არჩევანი: დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" და სხვა ათასი წიგნი, რომლებიც ამ მოვლენების შესახებ დაიწერა დედამიწის ხუთივე კონტინენტზე.

დასანანია, რომ უცხოეთი უკეთ ხედავს ედუარდ შევარდნაძის ეროვნულ და მსოფლიო დამსახურებას, ვიდრე ბევრი მისი თანამემამულე, ოპოზიციური პარტია და ფრაქცია.

მსოფლიო ლიტერატურა, მსოფლიოს მეცნიერული, პოლიტიკური, საისტორიო, დიპლომატიური და სხვა სახის ინფორმაცია ედუარდ შევარდნაძის შესახებ, — მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, — უკვე არსებობს 100-ზე მეტ ენაზე.

ძნელი სათქმელია, როდის მოუყრიან თავს საქართველოს სამეცნიერო და საინფორმაციო ცენტრები ედუარდ შევარდნაძის შესახებ არსებულ მსოფლიო ინფორმაციას — წიგნებს, ბროშურებს, გაზეთებს, კინოფილმებს, ტელეფილმებს და ა. შ. — ასეთი მუშაობა არც არის დაწყებული.

დღეს ასეთი ლიტერატურა უფრო ხელმისაწვდომია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში, იუნესკოში, ბრიტანეთის მუზეუმში, ვიდრე საქართველოს პარლამენტში ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

საჭიროა შეიქმნას, ერთი მხრივ, ედუარდ შევარდნაძის ნაწარმოებთა, მათ თარგმანთა და პუბლიკაციათა მსოფლიო ბიბლიოგრაფია, მეორე მხრივ კი — მსოფლიოში ედუარდ შევარდნაძეზე სხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა გენერალური ნუსხა.

ეს გრანდიოზული, კოლოსალური სამუშაოა. მაგრამ ამის გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიმეცნებთ სრულყოფილად ედუარდ შევარდნაძის ეროვნულ და მსოფლიო ფენომენს, მის გავლენას მსოფლიო პოლიტიკასა და დიპლომატიაზე.

უკვე ფაქტობრივად არსებობს მსოფლიო შევარდნაძემცოდნეობა, როგორც ინფორმაციული ნაკადი, პერსონოლოგიური მეცნიერული კონცეფცია და ისტორიული დოქტრინა.

ამ გრანდიოზული მსოფლიო ინფორმაციის ნაკადშია ჩართული პრეზიდენტ ბორის ელცინის წიგნიც „პრეზიდენტის ჩანაწერები".

მე ამჯერად მხოლოდ ამ რაკურსით — შევარდნაძემცოდნეობის რაკურსით გაკვრით განვიხილავ ბატონ ბორის ელცინის წიგნს.

Записки президента
Борис Ельцин

რა ადგილი უჭირავს მსოფლიო პოლიტიკურ შევარდნაძემცოდნეობაში ბორის ელცინის „პრეზიდენტის ჩანაწერებში" მოცემულ ინფორმაციას ედუარდ შევარდნაძის შესახებ?

ტერმინი შევარდნაძემცოდნეობა დღეს პირველად შემოდის ქართულ პოლიტოლოგიურ და ჟურნალისტურ ლექსიკონში, მაგრამ დროა ყური შევაჩვიოთ ამ ცნებას.

ეს ტერმინი — შევარდნაძემცოდნეობა პირველად მაინის ფრანკფურტში გავიგონე, მეორედ — ნიუ-იორკში.

(დასასრული მე-3 გვ.).

მერვე სვეტი

ამერიკელი და გერმანელი დიპლომატები ზუგდიდში

როგორც საქინფორმის კორესპონდენტი გვატყობინებს, 23 ივნისს, საღამოს, თბილისიდან ზუგდიდში ჩავიდნენ საქართველოში ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშე, პოდპოლკოვნიკი რობერტ ლი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პირველი მდივანი კენდი გრინი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი საქართველოს საკითხებში სტეფან კერიგი. ისინი ესაუბრნენ რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ედიშერ ჩარგაზიას და დაინტერესდნენ გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების მომზადების პროცესით. იმავე დღეს, საღამოს, ამერიკელი სტუმრები იყვნენ მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდზე. ამერიკის დელეგაცია ზუგდიდის რაიონში კიდევ ორ დღეს დაჰყოფს.

• • •

საქართველოში გერმანიის ელჩის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ფრიდ ნილსენი ზუგდიდში ჩავიდა. იგი ესაუბრა ზუგდიდის რაიონის გამგებელს ედიშერ ჩარგაზიას. ბატონმა ნილსენმა გამოიკითხა, თუ როგორია რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და აფხაზეთიდან აქ მყოფ ლტოლვილთა მდგომარეობა. აგრეთვე დაინტერესდა გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისათვის მზადების პროცესით. გერმანელმა დიპლომატმა ზუგდიდში ჩამოიტანა საჩუქრები ბავშვებისათვის, რომლებიც გერმანულ ენას სწავლობენ. ბატონი ნილსენი შეხვდა ზუგდიდში მყოფ სამშვიდობო ოპერაციის დასავლეთის ზონის სარდალს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილეს გენერალ-მაიორ ალექსი პოტაპოვს. გერმანელი დიპლომატი ეწვია აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხს. იყო მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდთან.

საქინფორმი.

„იბერიის" ლენტიდან

გალი. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები გალის რაიონში (აფხაზეთის რეგიონი) პოლიციის ქვედანაყოფთა კომპლექტაციის წესის შესახებ. ქართული მხარე მოითხოვს, რომ პოლიცია, ისევე როგორც ადმინისტრაცია, შერეული იყოს.

•

ვაშინგტონი. უახლოეს დღეებში ვაშინგტონში ხელი მოეწერება დოკუმენტს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს რესპუბლიკისათვის 8 მილიონი აშშ დოლარის ტექნიკური კრედიტის გამოყოფის შესახებ.

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსური ქვოტა 70 მილიონი აშშ დოლარიდან 150 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა. გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში. ეს თანხა შეიძლება მომავალში გამოეყოს საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პარლამენტისაგან მოითხოვს ნება დართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს 12 ტრილიონი ემისიური კრედიტის გამოყოფაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად.

თბილისი საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გადასახადების ამოღების დონემ საქართველოში 60% შეადგინა, ნაცვლად 20%-ისა 1994 წლის 1-ელ კვარტალში და 2,5%-ისა გასული წლის შესაბამის (მეორე კვარტალი) პერიოდში.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ვლადიმერ ზემსკის

21 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, მისივე თხოვნით.

რუსეთის ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წერილი, რომელშიც ბორის ელცინი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ და მადლობას უხდის ედუარდ შევარდნაძეს რუსეთის სახელმწიფო დღესასწაულის მილოცვისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის ელჩთან შეხვედრისას საუბარი შეეხო რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შესვლის შესახებ.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფედერაციის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მასში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა პოლიტიკური ძალებია გაერთიანებული.

სახელმწიფოს მეთაურის აზრით, რუსეთის ეს საერთაშორისო აქცია ისტორიული მნიშვნელობისაა არა მხოლოდ საქართველოსათვის. ამ აქციის წარმატება ამიერკავკასიაში სტაბილურობის საწინდარი შეიძლება გახდეს. ედუარდ შევარდნაძის აზრით, ამ შემთხვევაში საგრძნობლად გაიზრდება რუსეთის ავტორიტეტი მსოფლიოში, ვინაიდან ცალკეული ქვეყნის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ასეთ სერიოზულ აქციაზე პასუხისმგებლობის აღება სხვა ქვეყნებისათვის დადებითი მაგალითის ძალას შეიძენს.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა როლი უნდა შეასრულონ ჟურნალისტებმა დაწყებული სამშვიდობო მისიის საქმიანობის ობიექტურ გაშუქებაში.

ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ამოცანები

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

წლევანდელი 8 ივლისისათვის დაგეგმილია ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც შეჯამდება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგები. თათბირის მასალების მიხედვით ნავარაუდევია სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცეს სპეციალური ბრძანებულება, რომელშიც დაკონკრეტდება ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მიზნები და ამოცანები ამა წლის მეორე ნახევრისათვის.

შეხვედრაზე გამოიკვეთა პრიორიტეტული საკითხები — კორუფციის, ნარკომანიის, ტერორიზმის, არარეგისტრირებული უკანონო ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული, ერთობლივი მოქმედების აუცილებლობა, გზებსა და მაგისტრალებზე წესრიგის გაუმჯობესება.

სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობაში კოორდინაციის აუცილებლობის საკითხს.

შეხვედრაზე მოწვეულ პირებს მიეცათ დავალება ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები 8 ივლისის თათბირთან დაკავშირებით.

პენტაგონის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სტუმრად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის მეშვიდე არმიის წვრთნის უფროსი, ბრიგადის გენერალი ბაუმანი. ჯგუფის ჩამოსვლისთვის ნიადაგი მომზადდა ჯერ კიდევ გაზაფხულზე, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ამერიკის თავდაცვის მინისტრს დოქტორ პერის. პენტაგონის დელეგაციას უკვე ჰქონდა შეხვედრები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, გაეცნენ ქართული ჯარის ფორმირების პროცესს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

22 ივნისს ამერიკელი სტუმრები მიიღო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შეხვედრები პენტაგონში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. სასიამოვნოა, რომ გაზაფხულზე გაფორმებული ხელშეკრულება თანამშრომლობის თაობაზე უკვე იწყებს ამოქმედებას. სამხედრო სპეციალისტთა საქმიანი ვიზიტი ამის პირველი დადასტურებაა. პენტაგონის გამოცდილების გაზიარება ფასდაუდებელი იქნება ჩვენთვის დღეს, როცა ქართული არმია ფორმირების საწყის სტადიაშია. სახელმწიფოს მეთაური შეეხო კლინტონის ინიციატივას „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი შეუერთდა. მან ისაუბრა საქართველოში შექმნილი სიდღეისო ვითარების შესახებ, რომელსაც სტაბილიზაციის ნიშნები დაეტყო, იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანით დაიწყება ახალი ეტაპი კონფლიქტის მოგვარების გზაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდენ ნადიბაიძე, ამერიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი, საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში პეტრე ჩხეიძე, მეთაურის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრის ბოლოს პენტაგონის სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელმა, გენერალმა ბაუმანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ სამხედრო სპეციალისტები საქართველოში ჩამოვიდნენ ამერიკის თავდაცვის მინისტრის დოქტორ პერის დავალებით, რომელიც ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა ბატონ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ მარტში, ვაშინგტონში. — ჩამოვედით, — თქვა გენერალმა ბაუმანმა, — რათა შევხვდეთ საქართველოს თავდაცვის, საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლებს, პარლამენტის წევრებს, გვინდა მოვძებნოთ თანამშრომლობის გზები, დავადგინოთ საერთო ინტერესები.

კითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ თანამშრომლობა, გენერალმა გვიპასუხა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა შევისწავლოთ ქართული ჯარის წვრთნასთან დაკავშირებული საკითხები. საინტერესოა, რა გზით აპირებს საქართველო განავითაროს თავისი არმია და როგორ დაეხმარება ამერიკის შეერთებული შტატები მის გაწვრთნაში. გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება ამ დარგში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ბაგრატის ტაძარი აღორძინდება

21 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა ბაგრატის ტაძრის კომპლექსის აღორძინების ფონდის სხდომა. მას უძღვებოდა ამ ფონდის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფონდის თანათავმჯდომარეები — ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი როინ მეტრეველი, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე, საქართველოს რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ლერი მეძმარიაშვილი. სხდომაზე მოწვეული იყვნენ მწერალი ოტია იოსელიანი, მხატვარი თეიმურაზ გოცაძე, ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალური საპროექტო ინსტიტუტის „საქრესტავრაციის" დირექტორი ვანო გრემელაშვილი, ქუთაისის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ფონდის მიერ გაწეულ მუშაობაზე ანგარიშით წარსდგნენ ფონდის დირექტორატის წევრები სულიკო გაგუა და დავით ჭეიშვილი.

სარედაქციო ფოსტა

ჩვენ რა შევცოდეთ?

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ქალაქის ხელმძღვანელობამ გამონახა იმის შესაძლებლობა, რომ პურით დროულად მოემარაგებინა დედაქალაქი და სხვა დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრები. მაგალითად, მთაწმინდის რაისურსათვაჭრობის № 36 მაღაზია დილის 7 საათიდან 17 საათამდე აწვდის მომხმარებელს ოთხი სხვადასხვა დასახელების პურს, მათ შორის, დიაბეტით დაავადებულთათვის განკუთვნილს. იგივე ითქმის რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე მაღაზიების შესახებაც.

მაგრამ სავაჭრო ქსელის ზოგიერთი მუშაკები სულ სხვაგვარად „გვემსახურებიან" და გვარიანადაც ითბობენ ხელს. სახელდობრ, ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე № 33 მაღაზიის თავკაცები მხოლოდ ერთი დასახელების პურს იღებენ, ვაჭრობას კი მაშინ იწყებენ, როცა მოეხასიათებათ. საავიაციო ქარხნის, ფეხსაცმლის, ქაღალდის ფაბრიკების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მოთხოვნას პურით მთელი დღით ვაჭრობის შესახებ, ანგარიშს არ უწევენ, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია!

მომხმარებელთა სახელით:
რევაზ პიაზრიშვილი — საავიაციო ქარხნის ინჟინერი.
ანდრია მაჯავარიანი — ფაბრიკა „ისნის" გამომჭრელი.
ირაკლი ბედელიძე — პედაგოგი.

პარლამენტის სხდომის დღიური

როგორ ვუშველოთ კუპონს? რა ვიღონოთ იმისათვის, რომ ეროვნული ვალუტის კურსი გამყარდეს? ვინ და რა ამუხრუჭებს კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დამკვიდრებას ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე? — ეს და სხვა მრავალი კითხვა დაისვა 23 ივნისის პარლამენტის სხდომის დასაწყისშივე. პარლამენტარებს, როგორც არაერთგზის, სხდომის დღის წესრიგისაკენ არც კი მიუხედავთ და თითქმის ნახევარი დღე მოანდომეს სხვადასხვა განცხადებების გაკეთებას. მათ შორის მრავლად იყო ბრალდება ერთმანეთის მიმართ, დაუსაბუთებელი შეურაცხყოფა, მოუფიქრებელი შეფასებები. თანდათან ღელვის კოეფიციენტი იზრდებოდა პროგრესული სიჩქარით და სხდომის თავმჯდომარეს, ვიცე-სპიკერს ვახტანგ რჩეულიშვილს მოუხდა ცხარედ ეპასუხნა მოკამათეებისათვის. კამათის თემის ამპლიტუდა კი წამდაუწუმ მერყეობდა: ვინ რუსთავში გამართული არჩევნების შედეგების ანალიზს მოითხოვდა, ვინ ვლადიკავკაზში ხელმოწერილი დოკუმენტის სრულფასოვნებაზე მსჯელობდა, ვინ ჰუმანიტარული დახმარების რაოდენობის დადგენას ლამობდა, ვინ — რას და ვინ — რას... იყო მცდელობა დღის წესრიგში წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის მეორე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ მსჯელობისა. თუმცა პარლამენტარ თენგიზ სიგუას გამოსვლამ, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა მსურველთ. მან სასტიკად გააკრიტიკა წარმოდგენილი კანონპროექტი, ქვა ქვაზე არ დატოვა და განაცხადა, რომ მას შედგენილი აქვს დიაგრამები, გამოანგარიშებები, რომლებიც ბიუჯეტის არარეალურობის ზუსტ სურათს ხატავს.

ამასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე შეეცადა პასუხი გაეცა ოპონენტებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. მისმა ინფორმაციამ ვერ დააკმაყოფილა პარლამენტარები, გამომსვლელთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით არ შეესაბამება დღევანდელი საქართველოს მოთხოვნებს და იგი საფუძვლიანად შესაცვლელია. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, რომ მინისტრთა კაბინეტმა წარმოადგინოს ბიუჯეტის ახალი ვარიანტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო კვარტალისათვის, ან წლის ბოლომდე. შემოვიდა რამდენიმე წინადადება, რომ არ განეხილათ წარმოდგენილი ვარიანტი. ცხარე კამათის შედეგად პარლამენტარებმა ვერ მიაღწიეს კონსენსუსს ბიუჯეტის საკითხის გადაწყვეტაში.

მთელი დღის სხდომა წარიმართა კამათის ფორმით, პარლამენტარებს არ განუხილავთ და არ მოუსმენიათ დღის წესრიგით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი.

მომდევნო სხდომა სამშაბათს გაიმართება.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

გაეროს განვითარების პროგრამაში საქართველოც არის

თბილისში, გაეროს მისიაში გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისათვის. გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის შესახებ საქართველოში ისაუბრეს გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში ფეოდორ სტარჩევიჩმა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა საქართველოში მარტა რუედასმა. მათ ჟურნალისტების ყურადღება მიაპყრეს კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების დღევანდელ შედეგებს, ეკონომიკისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების განვითარების გათვალისწინებულ პროცესებს მომავალი თაობებისათვის, კაცობრიობის განვითარებისათვის. პროგრამა მიზნად ისახავს სიღატაკის შემცირებას, პროდუქტიული დასაქმების შექმნას, სოციალურ ინტეგრაციას, რომელთა დღეს გაუთვალისწინებლობა სახიფათოა კაცობრიობისათვის. პროგრამა იმდენად დიდია, რომ ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ მის განსახორციელებლად. გაისად, მარტში, კოპენჰაგენში სოციალური საკითხების განვითარების გამო გაიმართება შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. წლეულს, სექტემბერში კი კაიროში უნდა გაიმართოს კონფერენცია თემაზე „მოსახლეობა და განვითარების საკითხები".

გაეროში 180-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრიანებული. საქართველოც გაეროს სრულუფლებიანი წევრია. საქართველომაც, — თქვეს გამომსვლელებმა, — უნდა გამოიმუშაოს საფუძვლები თავისი სამომავლო ეკონომიკური განვითარებისა.

სოჭში განიხილავენ საკითხებს, რომლებიც საინტერესოა საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთისათვის

სოჭი, 22 ივნისი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი ამიერკავკასიის რკინიგზის მონაკვეთზე მატარებლების მიმოსვლის განახლების, ინგურჰესის ერთობლივი გამოყენების, კავშირგაბმულობის ხაზების აღდგენის პრობლემებს იხილავენ დღეს აქ ქართველ-აფხაზთა საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე, რომელიც ეკონომიკურ საკითხთა გადაწყვეტას ეძღვნება.

საქართველოს დელეგაციას ამ შეხვედრაზე მეთაურობს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი ლონდერ ცაავა, აფხაზთა მხარისას — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინვერ კაპბა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა ფელიქს კოვალიოვმა სხდომის გახსნისას იმედი გამოთქვა, რომ მხარეები შეთანხმდებიან აღნიშნულ საკითხებზე. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთი დასახელებული პრობლემა ეხება რუსეთის ინტერესებსაც და ამიტომ ახლანდელ შეხვედრაში მონაწილეობენ რუსეთის რიგი დაინტერესებული სამინისტროების — ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროთა წარმომადგენლები.

„ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად წარმოგვიდგენია რკინიგზის ერთობლივი ექსპლოატაცია, რადგან მის გადაჭრას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც, — უთხრა იტარ-საკდესის კორესპონდენტს საქართველოს დელეგაციის მეთაურმა ლონდერ ცაავამ, — ჩვენ ჩამოვიტანეთ წინადადებანი ამის თაობაზე".

ნავარაუდევია, რომ კომისიის მუშაობა ორ დღეს გასტანს.

საქართველო გადასარჩენია!

თეთრი დიპლომატიის სათავეებთან

„ბათუმი. პორტი. ნავსადგური. ევროპის სუნი. აღმოსავლეთიც. ბათუმი მშვიდი. ბათუმი ჩუმი..."

ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოსათვის უამრავ სასიკეთო შრეს მოიცავს. ერთ-ერთი ასეთი შრე დიპლომატიურ სიბრტყეზე დევს.

ქართული სახელმწიფოებრიობა ჩანასახოვან მდგომარეობაში ერთგვარ ვაკუუმს, შეიძლება ითქვას, იზოლაციას განიცდის. ამის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიოს ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უქონლობა გახლავთ. უცხო სახელმწიფოთა ინტერესი არ დევს — რეალური, ხელშესახები ინტერესი. ქუვეითს მთელი მსოფლიო გვერდით ამოუდგა არა მხოლოდ ჰუმანურობის გამო. ეს ელემენტარული ლოგიკაა, სამწუხაროდ, ზედმიწევნით პრაგმატული, მაგრამ რეალური, ცხოვრებისეული. ქართულმა სახელმწიფო აზროვნებამ ნელ-ნელა უნდა გადაინაცვლოს რეალისტურ რელსებზე და საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: რაში ვჭირდებით მსოფლიოს?

აი, სწორედ ამ კუთხით მინდა ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის პერსპექტივების მოხილვა. ბუნებრივია, ბათუმის მდებარეობა საკვანძო გზების გადაკვეთაზე უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ მას აქვს გასასვლელი ზღვაზე, მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, პრობლემის მხოლოდ ფიზიკური მხარეა, ფიზიკური განზომილება. არსებობს ფსიქოლოგიურიც, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, წმინდად ადამიანური მხარეც. იგი არანაკლებ მნიშვნელოვანი და ღირებულია.

1. ბათუმი, თუ მას თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შესაბამისი კომპლექსით აღვჭურავთ, შეიძლება იქცეს თავისებურ კუნძულად თეთრი, კეთილი ნების დიპლომატიისა, ან, სხვანაირად ვიტყვით, აქტიური პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ენისა, რომელიც ახალქართული დიპლომატიის მომავლად მესახება. ბუნებრივია, ეს გარკვეულ ეკონომიკურ ბაზისს გულისხმობს, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონის პოტენციალში დევს.

2. ბათუმი, როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური სპექტრის მომცველი ქალაქია. ინტეგრაციისაკენ მიდრეკილი მსოფლიოს ფონზე ამ ევრაზიული ბუნების ქალაქს თამამად შეუძლია მასპინძლობა გაუწიოს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომის მსურველ სხვადასხვა პოლიტიკური, თუ რელიგიური შეხედულებების მხარეებს.

3. ბათუმი, როგორც თავისებური წყალგამყოფი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ევროპასა და აზიას შორის, თავისუფლად შეიძლება იქცეს თანამეგობრობის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების მასპინძლად, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის მიმართულებით.

4. ე. წ. „ეთნოკონფლიქტებისაგან" აჭარის რეგიონი ტრადიციულად შორს დგას (იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური ნიშნით დაყოფაზე). ამიტომაც კავკასიური შინაომლილობის სუსხი მას არ შეხებია. ეს კი ყველა წინაპირობას ქმნის იმისათვის, რომ ბათუმმა შიგაკავკასიურ მოლაპარაკებებსაც უმასპინძლოს.

5. ვფიქრობ, ტრადიციად უნდა იქცეს შავიზღვისპირეთის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრების ბათუმში მოწყობა, მით უმეტეს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ამ თვალსაზრისით გარკვეულ სტრატეგიულ ინტერესს შემატებს ქალაქს.

რაც უფრო იხლართება ინტრიგების ქსელი ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი კავკასიაში, მით უფრო გაუსაძლისი ხდება სუვერენული საქართველოს არსებობა. ხელყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქართული სახელმწიფოებრიობა ჩანასახშივე დაღუპვის საფრთხის წინაშე დგას — ეს რეალობაა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ახალქართული სახელმწიფო უნდა აჰყვეს იმ ვიბრაციებს, რომელიც დასავლეთიდან მოდის რუსეთზე გავლით, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტეგრაციის პროცესს ფეხი უნდა აუწყოს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: საქართველომ აუცილებლად უნდა იპოვოს თავისი კალიგრაფია, თავისი ენა დიპლომატიის სიბრტყეზე, რათა ამ ვიბრაციებმა მთლიანად არ შთანთქან. ერთადერთი გამოსავალია დღეს ვიპოვოთ ჩვენი გენეტიკური კოდი — პოლიტიკურ-ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებულობაზე ამაღლებული ხედვა. მაგრამ ყოველივე ამას ეკონომიკური ბაზისი სჭირდება და მორალური უფლება. უმძიმესი ისტორიული ეტაპი განვვლეთ. საქართველო თითქმის მთლიანად გაეხვია დაპირისპირების ცეცხლში, ეკონომიკა მოირღვა. სწორედ ამ თვალსაზრისით არის ბათუმი საინტერესო. ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონა სწორედ ასეთ ბაზისად შეიძლება მოევლინოს ქართულ სახელმწიფოს.

რაც შეეხება წარსულს: აჭარის ხელმძღვანელობამ განვლილ ისტორიულ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, ერთგვარი წანამძღვრები შექმნა ყოველგვარ დაპირისპირებულობაზე ამაღლებული ხედვისა — დაწყებული აბაშიძის მიერ საკუთარი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობის გარანტად არძინბასათვის შეთავაზებით, დამთავრებული განაწყენებულ ძმათა შორის ჩადგომით. აჭარის ხელმძღვანელობამ სწორი გზით იარა. ნაყოფიც კეთილი აღმოჩნდა. ასე რომ, ბათუმს თავისი ულამაზესი ტრადიციებითა და ასევე ტრადიციული სიმშვიდით სრული მორალური უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს თეთრი, კეთილი ნების დიპლომატიის მებაირახტრობაზე. მთავარია განწყობა შევქმნას — რაც უფრო კეთილია განწყობა, მით უფრო გადამდებია. ჩვენ უნდა ვათამაშოთ ჩვენი კოზირი სწორედ ბათუმიდან. ბათუმი — ევრაზიული ქალაქი. დასავლეთიც და აღმოსავლეთიც. ევროპაც და აზიაც. სული ძველი აღთქმისაც და ახლისაც. წყალგამყოფი. ფანჯარა. გზა.

ახლა დავუბრუნდეთ წერილის თავში დასმულ კითხვას: რაში ვჭირდებით მსოფლიოს? მსოფლიოს (და, ალბათ, ღმერთსაც, ამიტომაც ასე მკაცრია განგება) ქართველი კაცის ამაღლებული, გეორგიული ბუნება სჭირდება და ენატრება: შემწყნარებლური, შემრიგებლური, თბილი, ბრძენი და მოსიყვარულე. გონებას უნდა ვუხმოთ. მაღალ გონებას. გულიც გონებით — უნდა შევმოსოთ.

დღეს კავკასია სიმაღლის დეფიციტს განიცდის, იმ სიმაღლისა, რომელიც ასე მოჭარბებია ქართველს და რომელიც ზოგჯერ ასე უკუღმართად ვლინდება. ჩვენ მხოლოდ სიმაღლით თუ მოვიგებთ, გონებისა და სულის სიმაღლით, დაპირისპირებით — ვერა.

ბუნებრივია, როცა ბათუმზე ვაკეთებთ აქცენტს, სრულებითაც არ ვგულისხმობთ ამ პატარა სანავსადგურო ქალაქის პრიორიტეტს პრინციპული თვალსაზრისით. მაგრამ განვლილია მძიმე და სუსხიანი გზა. ეს სუსხი განსაკუთრებით მკაცრად დედაქალაქს შეეხო, განსხვავებით ბათუმისაგან, რომელიც მეტ-ნაკლებად გადაურჩა დაპირისპირების ტალღას, როგორც საქართველოს, ასევე კავკასიის მასშტაბით. განგებამ ინება და ბათუმმა შეინარჩუნა თავისი სიმშვიდე და კოლორიტი. ბათუმელებმაც. ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტორი. საერთოდ, დიპლომატიურ სიბრტყეზე ადამიანური ფაქტორი გადამწყვეტია. ის მძაფრი ემოციური მუხტი, რომელსაც საქართველო ატარებს და, რა თქმა უნდა, მისი სარკეც — ახალქართული პარლამენტი — ძალზე უარყოფითად მოქმედებს ჩვენს მდგომარეობაზე.

უნდა შევეგუოთ ერთ უცილო რეალობას — მსოფლიო ინტეგრაციას ელტვის, იშლება ფინანსურ-ეკონომიკური საზღვრები. საფუძველი დემოკრატიაა — არა ამ სიტყვის ღრმა და ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ საერთო ძირის საზრისით. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი. სახელმწიფოს მეთაურის მიერ მრავალგზის განმეორებული ცნება — „ახალი მსოფლიო წესრიგი" — სწორედ ამ პროცესს გულისხმობს. ეს შეუქცევადი, გარდუვალი პროცესია. რაც შეეხება საქართველოსა და მთლიანად კავკასიას, ამ პროცესს იგი რუსეთზე გავლით გრძნობს, და გრძნობს ძალიან მკაცრად, რადგან კავკასია მაინც ტრადიციების, ფესვის მხარეა. აღმოსავლეთისაკენ ინტეგრაციის პროცესი მაინც რუსეთის ირგვლივ იყრის თავს, რუსეთის გავლით ხდება. უბრალოდ, კომუნისტური იდეოლოგიური საფუძველი შეიცვალა დემოკრატიულით. ასეთია პანორამა. ჩვენ სად უნდა მოვთავსდეთ ამ პანორამაში? ჩვენ უნდა ავმაღლდეთ დაპირისპირებაზე, რადგანაც პროცესი მაინც იქ მივა, სადაც ჩაფიქრებულია. აი, სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო ბათუმი, რომელსაც დაპირისპირების ტალღა არ შეხებია. პირველი ნაბიჯი ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნა იქნება.

და კიდევ ერთი: დღეს ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ იდეოლოგიურ კრიზისზე, საყოველთაო ნიჰილიზმზე, ინდიფერენტულობასა და ხელჩაქნეულობაზე, რომელიც საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მის ახალგაზრდულ ნაწილს დაეუფლა. ეს ბუნებრივია. უმძიმესი ისტორიული უღელტეხილი გადავლახეთ. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დაცემას ამაღლება მოჰყვება. ვიპოვოთ საკუთარ თავში ახალი ადამიანი, ახალი ფსიქოლოგია, ფსიქოლოგია ათასწლეულთა შესაყარის ადამიანისა — ამაღლებული, სიმპათიური მზერით.

განწყობა, — დიმიტრი უზნაძესთან ეს მთავარია. ვფიქრობ, იგი გენიოსი იყო. ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული — დროც, ეპოქაც, ჩვენ ჩვენი ნაფიქრით, ჩვენი ნამოქმედარით ვქმნით დროს. ვაქანდაკებთ. რაც უფრო სიმპათიური იქნება ჩვენი ხედვა, მით უფრო სიმპათიურად დალაგდებიან საგნები და მოვლენები ჩვენს ირგვლივ. ახალი ადამიანის პრობლემა ახალქართული სახელმწიფოს მთავარი პრობლემაა, აქილევსის ქუსლი. თეთრი, კეთილი ნების დიპლომატია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სწორედ ახალი ადამიანის წილხვედრია, მისი ტვირთი. რაც შეეხება ეკონომიკას, ეკონომიკური სტრუქტურების ცვალებადობას, ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონა ის რეალური გზაა, რეალური არხი, რომელიც ასეთ ცვალებადობას პრეცედენტს უქმნის. სტრუქტურას ადამიანი აშენებს და ადამიანს — სტრუქტურა. რატომღაც ერთმანეთისაგან ვაცალკევებთ ამ ორ ურთიერთშემხვედრ პროცესს და გვინდა ძველმა ცხოვრებამ ახალი ადამიანები შვას, ხოლო ძველმა ადამიანებმა — ახალი ცხოვრება.

თუმცა, ადამიანი არასოდეს არ არის „ძველი". იგი მუდმივგანახლებადი ფენომენია.

ლაზარე ზაქარიაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

გენერალ-მაიორ ბ. ივანოვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის საჯარისო სამსახურის განყოფილების უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გენერალ-მაიორი ბორის ივანოვი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის საჯარისო სამსახურის განყოფილების უფროსად.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1994 წლის 22 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობის ტრადიციის გათვალისწინებითა და აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ინტელექტუალურ პოტენციალზე დაყრდნობით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის შემდგომი გაფართოების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ:

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა;

— უზრუნველყოს 1994-96 წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში) აღმოსავლური ენების (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული) როგორც უცხო ენის სწავლება;

— შექმნას სამინისტროსთან აღმოსავლური ენების სწავლების საკოორდინაციო ცენტრი და ხელი შეუწყოს მას სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში.

2. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც აღმოსავლური ენები ისწავლება, ეტაპობრივად შექმნან სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები და აღჭურვონ ისინი სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით, აღმოსავლური შრიფტების მქონე საბეჭდი მანქანებით და კომპიუტერებით, ლიტერატურით, ტაბულებით, რუკებით, პლაკატებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციამ 1994-95 წლებში უზრუნველყოს გამომცემლობა „განათლებაში" ამჟამად წარდგენილი აღმოსავლური ენების სასწავლო ლიტერატურის გამოცემა, ხოლო 1996 წლიდან, ყოველწლიურად, თითოეულ აღმოსავლურ ენაში გამოსცეს საკოორდინაციო ცენტრის მიერ რეკომენდებული 2-3 სახელმძღვანელო.

4. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათანადო დახმარება გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირურთიერთობის დამყარებაში, ამ ქვეყნებში მოსწავლეთა და პედაგოგთა გაცვლისა და სტაჟირების ორგანიზებაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროებმა გამონახონ საშუალებები აღმოსავლური ენების სწავლებისა და ამ სწავლების საკოორდინაციო ცენტრის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განაცხადის შესაბამისად.

6. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელს ვაჟა ლორთქიფანიძეს.

ე. შევარდნაძე.

ჯერ არ დაწყებულა ბათუმიდან სამშვიდობო ბატალიონების ხელახალი დისლოკაცია

როგორც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრის ხელმძღვანელმა გენადი დოლგაჩოვმა განაცხადა, ტელეკომპანია „ოსტანკინოს" პირველი არხით 22 ივნისს გადაცემული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარების ორი ბატალიონი აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისათვის ბათუმიდან ქართველ-აფხაზთა დაპირისპირების რეგიონში გადაიყვანეს, არ შეესაბამება სინამდვილეს.

იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც მის განკარგულებაშია, ეს ქვედანაყოფები ბათუმში იმყოფებიან, გამზადებული არიან, მაგრამ ბრძანება მათი დისლოკაციის შეცვლის შესახებ, ჯერჯერობით მიღებული არ არის.

გოჩა აგლოთია.

ოსი და ქართველი ერთად იცხოვრებს

ვერავითარი შენიღბულად მოქმედი ბოროტი ძალა ვერ შეასრულებს თავის ავ განზრახვას, ვერ შეძლებს ქართველი და ოსი ხალხის დაშორებას, — ამბობს სოფელ ნიქოზის მცხოვრები კოლია მჭედლიძე, — 35 წელი ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ვიმუშავე და მხოლოდ კონფლიქტის დროს გავხდი იძულებული დამეტოვებინა ჩემთვის მშობლიური ქალაქი. ცხინვალში ბევრი ოსი მეგობარი მყავს და მწამს, რომ მათ ქართველებთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა სურთ. ამას არც მალავენ, როცა ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე.

ახლა ქართველებსაც და ოსებსაც, ვისაც მშვიდობიანი შრომა ენატრებათ, გვიჩნდება რწმენა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, პირადად სახელმწიფოს მეთაური ყველაფერს გააკეთებენ, რათა ქართველმა და ოსმა ერთად იცხოვროს, ახლა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. მჯერა, ცხინვალში კვლავ ვიშრომებ ჩემი მეგობრების გვერდით.

ვახტანგ გორიძე.

საფუძველი ეყრება კეთილმეზობლურ ურთიერთობას

თბილისში დაბრუნდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დელეგაცია, რომელიც საქმიან ვიზიტად იმყოფებოდა მოსკოვში. დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობდა ორგანიზაციის გენერალური მდივანი ზურაბ ჟვანია, შეხვდნენ და ესაუბრნენ „რუსეთისათვის დემოკრატიული არჩევანის" პარტიის ლიდერს ეგორ გაიდარს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს „იაბლოკოს" ფრაქციის თავმჯდომარეს გრიგოლ იავლინსკის, რუსეთის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ტრავკინს, აგრარული პარტიის თავმჯდომარეს მიხეილ ლაპშინს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა სხვა ლიდერებს.

განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველაზე მწვავე და ჯერჯერობით გადაუწყვეტელი საკითხები, უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთის პრობლემა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური, ნამდვილად პარტნიორული ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რაც შეიძლება მალე გადაწყდება და ამის პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება რუსეთის სამშვიდობო ძალების შუამავლობით.

სრული გაგებით აღიქვეს მოქალაქეთა კავშირის წევრების მიერ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობას არ შეიძლება წარმოადგენდნენ არძინბას ტიპის ავანტიურისტები. ბევრ სფეროში რუსეთსა და საქართველოს აქვთ საერთო ეროვნული ინტერესები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დაახლოებასა და სტრატეგიულ თანამშრომლობას.

დელეგაციის მოსკოვის ვიზიტს კონკრეტული ამოცანაც ჰქონდა — მოამზადოს რუსეთ-საქართველოს კონფერენცია ეკონომიკისა და ინვესტიციების საკითხებზე. როგორც მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ თქვა, ამან კერძო ბიზნესის წამყვან წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ვიზიტი, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები გაეცნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, მიიღეს ობიექტური ინფორმაცია, რამაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ქვეყნის შესახებ სწორი წარმოდგენის ფორმირებას.

ნოდარ დუმბაძის უკვდავსაყოფად

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის მშობლიურ სოფელ ზენობანში იხსნება მწერლის სახლ-მუზეუმი.

საქართველოს მწერალთა კავშირი თხოვნით მიმართავს ყველას, ქმედითი დახმარება გაუწიონ სახლ-მუზეუმის დირექციას სამუზეუმო ექსპონატების (მწერლის ნაწარმოებები, ხელნაწერები, ფოტოსურათები...) შეგროვებაში.

ყველა დაინტერესებულ პირს ვაცნობებთ, რომ სახელმწიფო კომერციული „აგრომრეწვბანკის" ჩოხატაურის რაიონულ განყოფილებაში გახსნილია № 14231 ანგარიში სახლ-მუზეუმის დასაფინანსებლად.

იმედია, ნოდარ დუმბაძის შემოქმედების თაყვანისმცემლები გამოეხმაურებიან ჩვენს მოწოდებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ დიდი ქართველი მწერლის ხსოვნის უკვდავყოფის საქმე-

რას წერს ბორის ელცინი ედუარდ შევარდნაძის შესახებ წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები“

(დასასრული)

ელცინი თავის წიგნში მუდამ იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ნომინალურად ამბობს. წიგნს საინტერესო კონტექსტი და ქვეტექსტი გააჩნია.

2. შევარდნაძის დაბრუნება

ვფიქრობთ, ბატონ ელცინის წიგნის ამ ერთ ქვესათაურში იმაზე მეტია ნათქვამი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვჩვენოს. რეცენზენტთა აზრით, დაბრუნებათა მთელი ციკლი იგულისხმება. პირველი. ედუარდ შევარდნაძის გადადგომა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან, დროებით წასვლა დიდი პოლიტიკიდან და მსოფლიო დიპლომატიიდან და კვლავ დაბრუნება მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე — სუვერენული სახელმწიფოს მეთაურის რანგში, — ედუარდ შევარდნაძის ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლა. მეორე, რუსეთში ტრიუმფალური მოღვაწეობის შემდეგ ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება სამშობლოში. მესამე. საქართველოს გასვლა მოკავშირე რესპუბლიკათა ორბიტიდან და ედუარდ შევარდნაძის დროს კვლავ დაბრუნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

დაბრუნება წარსულის გამეორებას არ ნიშნავს. წარსული უკვე არ არსებობს, მომავალი ჯერ არ დამდგარა, ყველაფერი აწმყოში ხდება, იმ აწმყოში, რომელშიც წარსულის კვალი ჩანს და მომავლის ფესვები.

ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო, — თქვა ფილოსოფოსმა. „პანტა რეი“ — ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება. შეუძლებელია დაბრუნება ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ყველაფერი ცვალებადია ამ სამყაროში, გარდა სამყაროს ცვალებადობის კანონისა. დღეს ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანიც და სინამდვილეც.

დაბრუნების მეტაფორა ელცინის წიგნში რაღაცით უფრო ნიცშესეულ დაბრუნებათა ფილოსოფიურ აფორიზმს ჰგავს, ვიდრე წარსულის უბრალო გამეორებას ზოგიერთი ოპოზიციონერის ფილისტერული თვალთახედვით.

ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება დიდებითი ისტორიული მოვლენაა.

3. საგარეო საქმეთა მინისტრი

„პრეზიდენტის ჩანაწერების“ ავტორი ისტორიულ ექსკურსებს მიმართავს.

ბორის ელცინი ცდილობს გაანალიზოს, თუ რატომ დაინიშნა ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო მნიშვნელობის დიდ პოსტზე, იმ დიდი დიპლომატიური, საგარეო პოლიტიკური სამყაროს მმართველად, რომლის კარების შეღებაც ისტორიის კარების გაღებას უდრის.

ამ საკითხზე ტომები დაიწერა რუსეთსა და მთელ მსოფლიოში. მომავალშიც არაერთი წიგნი დაიწერება. მაინც საინტერესოა რუსეთის პირველი პრეზიდენტის შეხედულება ამ საკითხზე. მით უმეტეს, რომ ეს შეხედულებები თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური აზროვნების ლაბორატორიის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს.

ბატონი ელცინი წერს გაკვირვების ფენომენის შესახებ, მაგრამ შორსაა გაკვირვების არისტოტელური გაგებისაგან.

1985 წელს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძის დანიშვნა ბევრს გაუკვირდა, — წერს ბორის ელცინი, — ის იყო ერთ-ერთი, არც თუ ისე დიდი რესპუბლიკის ხელმძღვანელი და თან დიპლომატიური გამოცდილებაც არ ჰქონდაო, — შენიშნავს წიგნის ავტორი.

აქ ელცინისა და მისი სპიჩრაიტერების მენტალიტეტი უფრო მჟღავნდება, ვიდრე პოლიტოლოგიური ლოგიკა და პოლიტიკის ფილოსოფიის სიღრმისეული წვდომა. შევარდნაძე იმ დროს დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი იყო და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერებთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობაც.

ეტყობა, ბატონ ელცინზე, მიუხედავად მის მსოფლმხედველობასა და ფსიქოლოგიაში მომხდარი დიდი გარდატეხისა, მაინც გავლენას ახდენენ ის ისტორიული ფაქტები, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძემდე ეს პოსტი ეჭირა ლევ ტროცკის, ვიაჩესლავ მოლოტოვს და ბევრ სხვა მსოფლიოში ცნობილ ისტორიულ ფიგურას.

დღეს ფაქტია, რომ ედუარდ შევარდნაძე თვით ტროცკისა და მოლოტოვზე უკეთ გაუძღვა ამ პოსტს და უფრო დადებით ისტორიულ პიროვნებად შევიდა მსოფლიო ისტორიაში, ვიდრე მისი წინამორბედები, თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრატიული ტრიუმვირატისა და პირადად მისი „ახალი აზროვნება მსოფლიოსა და ქვეყნისათვის“, მისი წიგნი „ჩემი არჩევანი: დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად“ უფრო მისაღები გახდა მსოფლიოსთვის, ვიდრე იმავე მოლოტოვისა და ტროცკის იდეები, რომლებიც ასე თუ ისე დღემდე „ცოცხლობენ“, მაგრამ თითქმის ნიცშეს ნიჰილიზმის სისასტიკით არიან უარყოფილნი.

ამას ფაქტობრივად აღიარებს ბორის ელცინიც თავის წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები“.

4. ედუარდ შევარდნაძის ინტელექტუალური ნიჭი და არტისტიზმი

ბატონი ბორის ელცინი წერს, რომ ედუარდ შევარდნაძე აღზევდა მისი ინტელექტუალური ნიჭისა და იმ არტისტიზმის წყალობით, რომელიც ასე დამახასიათებელია ბევრი ქართველისათვის.

შესანიშნავი სიტყვებია, თუმცა ისინი ვერ ამოწურავენ იმ მიზეზთა და თვისებათა ნუსხას და არსს, რომლებმაც ასეთ მაღალ სიმაღლეზე აიყვანეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო პოლიტიკასა და დიპლომატიაში.

ედუარდ შევარდნაძის სულიერი სამყარო, მისი ფენომენი გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ბატონ ელცინს წარმოუდგენია.

იმავე დროს მადლობელი უნდა ვიყოთ ბატონ ბორის ელცინისა, რომ ის ედუარდ შევარდნაძეს თურმე უკეთ იცნობს, ვიდრე საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი.

5. „მსოფლიო არენაზე შევარდნაძე არანაკლებ ნათელი ფიგურა იყო, ვიდრე გორბაჩოვი“...

ასე წერს ბორის ელცინი თავის წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები“ ბატონ ედუარდ შევარდნაძის შესახებ.

და ეს სავსებით სწორი შეფასებაა.

მე მინდა ეს სტრიქონები წაიკითხოს ოპოზიციამ და მოახდინოს ფასეულობათა გადაფასება.

მე ვყოფილვარ მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში და თვითონ ვარ მოწმე ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკისა და დიპლომატიის მსოფლიო ტრიუმფისა.

ჰარვარდში მას ტალეირანზე მაღლა აყენებდნენ, ოქსფორდში — ტროცკიზე მაღლა, ბონში — ზოგიერთი თვისებით ადენაუერს ადარებდნენ...

ედუარდ შევარდნაძე არის პოლიტიკის ფილოსოფოსი, ამიტომაც არის იმანუელ კანტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ჰარვარდისა და მრავალი უცხოური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი...

ბროდვეიზე მე მომასმენინეს ამერიკის შეერთებული შტატების ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შესრულებით გურული კრიმანჭული, რომლის შესრულებაც ამერიკის მადლიერმა ქართულმა ანსამბლმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უძღვნა.

კოჟრები გაუჩნდათ ამერიკელებს ხელისგულზე ტაშისცემით.

კრიმანჭულს მღეროდა ზანგი ნიუ-იორკში!

ეს საოცარია, მაგრამ ის უფრო მაკვირვებს, თუ რას მღერის დღეს ჩვენი ოპოზიცია?!

ის, რაც ედუარდ შევარდნაძის შესახებ ვიღაც გადამთიელმა, სხვა რასის კაცმა — ზანგმა გაიგო, რად ვერ გაიგო თეთრკანიანმა ქართველმა? საკითხავი აი, ეს არის!...

ბორის ელცინი წერს, რომ ედუარდ შევარდნაძემ თავისი კოლოსალური შრომის შედეგად ჩამოაყალიბა ახალი საგარეო პოლიტიკა და მისი პრინციპები აქცია ისეთ რეალობად, რომელთანაც დასავლეთს უკვე შეეძლო ჰქონოდა საქმე.

ამით რუსეთისა და მსოფლიო პოლიტიკის შევარდნაძისეული რეფორმის პოზიტიური შედეგებიც არის ნაჩვენები და მისი რეალისტური ხასიათიც.

პოლიტიკური რეალიზმი და პრაგმატიზმი ედუარდ შევარდნაძის ფენომენის ფუძეთაფუძეა.

6. პოლიტიკოს ედუარდ შევარდნაძის მამაცური ნაბიჯი

ასეთი შეფასება მისცა ბორის ელცინმა თავის წიგნში ედუარდ შევარდნაძის გადადგომას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან. ეს იყო მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე, მომავალი დიდი პოლიტიკური კატაკლიზმების პროლოგი და პრელუდია.

— ამ აქტით, — წერს ბორის ელცინი, — ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა, მამაცი ადამიანი, რომელმაც საზოგადოება დროზე გააფრთხილა მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალების შესახებ.

გორბაჩოვმა განაცხადა, რომ შევარდნაძის გადადგომა მისთვის მოულოდნელი იყო, რომ მას სურდა ედუარდ შევარდნაძე ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ეხილა.

ბოლოს და ბოლოს რა მართავდა და მართავს რუსეთს: ნიცშესეული ნება თუ პლატონისეული ინტელექტი, მისი იდეალური სახელმწიფოს მარადიული იდეები?

არც ერთი და არც მეორე. უფრო ხშირად მაკიაველიზმი და ისიც არა ყოველთვის. უფრო ხშირად ბაკუნინისა და კროპოტკინის ანარქია.

ნიცშესა და პლატონისთვის კი არა, მარქსისთვის არ იყო ადგილი იმ „მარქსისტულ“ სახელმწიფოში.

დღეს კი **დემოკრატია**, იქ, — გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს, — **დემონკრატიად**, დემონის ძალაუფლებად არის ქცეული.

სწორედ იმ **დემონკრატიას** შეება ბატონი ედუარდ შევარდნაძე დემოკრატიის სახელით, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა და მსოფლიო გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ეს იყო პოლიტიკის მეცნიერული პროგნოზირების კლასიკური ნიმუში.

7. ედუარდ შევარდნაძის ყველაზე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური არჩევანი

ასეთ ნაბიჯად ბატონ ელცინს ის მიაჩნია, რომ ედუარდ შევარდნაძე ახალი დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და იმავე დროს სახელმწიფოს მეთაური გახდა.

— პოლიტიკოსი, — რომელიც მიჩვეული იყო მუშაობას ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში, — წერს ბორის ელცინი თავის წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები“, — თანამშრომლობდა ადამიანებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ტრადიციულ საზოგადოებაში და უფრთხილდებოდნენ ტრადიციულ ღირებულებებს, — უცებ აღმოჩნდა სისხლიანი სამოქალაქო ომის შუაგულში.

ბატონ ელცინს საქართველოსთან შედარებით რუსეთი წარმოდგენილი აქვს, თითქმის როგორც ნეტარ ავგუსტინეს „ღვთის ქალაქი“. ეს ასე იყო თუ არა, ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ საქართველო რომ იმ დროს მართლაც დანტეს ჯოჯოხეთს წარმოადგენდა, — ფაქტია.

8. ედუარდ შევარდნაძე სამოქალაქო ომის შუაგულში

კატაკლიზმები, სოციალური აფეთქებები, ელცინის აზრით, იწვევს მასების ფსიქიკის დეფორმაციას და ადამიანებს აყენებს ყოველგვარ ზღვარს მიღმა, არანორმალურ პირობებში.

არ ვიცი, შეიძლება „ზღვარს მიღმა“ აქ ეგზისტენციალისტურ „სასაზღვრო სიტუაციის“ პოლიტოლოგიური რემინისცენცია იყოს, (ეს უკვე ბატონ ელცინის სპიჩრაიტერებმა განმარტონ), ან შეიძლება ამ ფრაზას ფილოსოფიური ქვეტექსტი არც გააჩნია და ის იმაზე მეტს არც ნიშნავს, რაც ნომინალურად იკითხება მასში ე. წ. საღი გონების დონეზე, და ამდენად ჰაიდეგერის man-ს ვერ სცილდება.

ასეა თუ ისე, ბატონი ბორის ელცინის წიგნის ერთი მეტაფორა უთუოდ ზუსტია. სიძულვილი მართლაც ტყეს მოდებულ ხანძარს ჰგავს და მანამ არ ჩაქრება, სანამ იმ ტყეს არ გადაბუგავს.

ელცინის მეტაფორული აზროვნების თანახმად სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული საქართველო ცეცხლმოდებულ ტყეს ჰგავდა.

ეს იქნებ არ არის ისეთივე ტევადი მეტაფორა, როგორიცაა ელიოტის „საღვთო ტყე“, მაგრამ ელიოტის სხვა მეტაფორას — „უნაყოფო მიწას“ ის უთუოდ მაგონებს რაღაცით.

სამოქალაქო ომის ნაყოფი მისი უნაყოფობაა.

თემაზე — ედუარდ შევარდნაძე სამოქალაქო ომის შუაგულში მომავალში რომანები და პოემები დაიწერება.

9. სიძულვილის ფილოსოფია ბატონ ელცინის გაგებით

აღმოდგებულ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე, — ელცინის აზრით, გარკვეული თვალსაზრისით, მძევლად აღმოჩნდა მის მოძულეთა შორის. მაგრამ ამას არ მოჰყოლია კიერკეგორის „შიში და ძრწოლა“, პირიქით, ჩვენ დავინახეთ ედუარდ შევარდნაძის სამოქალაქო გმირობა.

სამოქალაქო ომში გამარჯვება მხოლოდ სამხედრო გზით მიიღწევა, — წერს მედიტაციური ინტონაციით ბატონი ელცინი, — თან დიდი სისხლისღვრისა და მსხვერპლის ფასად. მშვიდობიანი გზით სამოქალაქო ომში გამარჯვება შეუძლებელია, — დასძენს პრეზიდენტი.

და ყველაფერზე ეტყობა, — ბატონ ელცინს არა მარტო ისტორიის ცოდნა, არამედ საკუთარი გამოცდილებაც ალაპარაკებს.

სხვათა შორის, ეს კარგად ესმოდა ლენინს, — ორაზროვნად შენიშნავს ბატონი ელცინი.

ასეთ წიგნებში, ჩემი აზრით, ორაზროვნობას ცალსახა აზროვნება სჯობია, ვისაც ეს შეუძლია.

10. ედუარდ შევარდნაძის სამშვიდობო ინიციატივათა ბედი

ედუარდ შევარდნაძის სამშვიდობო ინიციატივები, რომლებსაც გულისყურს მიაპყრობდნენ დასავლეთის უდიდესი სახელმწიფოების პრეზიდენტები, ნატო, გაერო, უშიშროების საბჭო, — წერს ელცინი, — სულ ამაო აღმოჩნდა, კბილებამდე შეიარაღებულ, სიძულვილით შეპყრობილ პარტიზანულ რაზმებთან მიმართებაში. ქვეყანა სისხლში იძირება, — შენიშნავს ბატონი ელცინი.

მაგრამ ის არაფერს წერს იმაზე, რომ რუსული იარაღით იღვრებოდა და დღემდე იღვრება აქა-იქ ქართველთა სისხლი.

საქართველოში თავისი ისტორიული ვიზიტის დროს ელცინმა მეცნიერებათა აკადემიაში წარმოთქმულ სიტყვაში ირიბად აღიარა რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტებში.

რუსეთიც ვერ გაიმართლებს თავსო, — თქვა მან.

მაგრამ წიგნში ამის შესახებ არაფერს ამბობს.

როგორი სიმამაცე და მოთმინებაა საჭირო შევარდნაძის მხრივ ასეთ სიტუაციაში? — რიტორიკულ კითხვას სვამს წიგნის ავტორი და ელცინის კითხვაზე პასუხი ელცინის კითხვაშივეა მოცემული.

11. რა უშველის ედუარდ შევარდნაძეს ელცინის აზრით

პირველ რიგში, — შენიშნავს ელცინი, — ედუარდ შევარდნაძეს იხსნის მისი დიდი პოლიტიკური გამოცდილება და კავკასიის ღრმა ცოდნა.

ეს სწორია. აკი უშველა კიდევაც.

იმავე დროს ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისტორიული მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ ზოგი რამ უკვე მოძველდა გუშინ გამოცემულ ელცინის წიგნში.

სამოქალაქო ომის სისხლიანი ეტაპი თითქოს დამთავრდა საქართველოში. ედუარდ შევარდნაძის სამშვიდობო ინიციატივებმა სათანადო დადებითი შედეგები გამოიღო.

გაეროსა და დსთ-ს ერთობლივი ოპერაციებით მიმდინარეობს კონფლიქტების მოწესრიგება.

რუსეთთან და მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან დაიდო და ხორციელდება ისტორიული ხელშეკრულებები.

მსოფლიოში კვლავ გაუგონარ სიმაღლეზე დგას ბატონ ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი და გავლენა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შველა არ სჭირდება. თვითონ შევარდნაძე მოევლინა საქართველოს მხსნელად და მშველელად. დროა სრულიად საქართველომ უფრო ღრმად გააცნობიეროს ეს ფაქტი.

ბატონ შევარდნაძეს მხარში უნდა ამოუდგეს ყველა, ვისაც სურს საქართველო გადარჩეს! დესტრუქციული ოპოზიცია ცეცხლს ეთამაშება.

ამ კრიზისულ ისტორიულ სიტუაციაში ოპოზიციამ, მთელმა ერმა უნდა გააცნობიეროს: დღეს, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, ედუარდ შევარდნაძე რომ გადადგეს, როგორც ეს ზოგიერთ პარტიას და ფრაქციას სურს, ეროვნული სახელმწიფო დაინგრევა.

გაეცით პასუხი ისტორიულ კითხვას: ვინ მოვა? რა გველის?

ნუთუ გგონიათ, ბატონებო, რომ სუპერდემოკრატიული, სუპერთავისუფალი, სუპერმდიდარი საქართველო აშენდება!

პირიქით, მოხდება პუტჩი, სამხედრო გადატრიალება, შეიარაღებული აჯანყება, დამყარდება სისხლიანი დიქტატურა. იმ „წვრილფეხა პარლამენტარებს“, ვისთვისაც უცხო არ არის კარიერისტული ზრახვები, არავინ „მიასუნიებს ხელისუფლების სათავეში“.

იოლია ნგრევა, ძნელია აღმშენებლობა.

დღეს ადამიანებში მაკიაველი უფრო ზის, ვიდრე ჯეფერსონი, და, ეტყობა, იუდა უფრო, ვიდრე ქრისტე. და პურის დეფიციტზეც უფრო გონიერების დეფიციტი იგრძნობა.

12. საქართველოს შესვლა დსთ-ში, ანუ როგორ ატარებს არაპოპულარულ პოლიტიკას პოპულარული პოლიტიკოსი

ბატონი ელცინი წერს: ედუარდ შევარდნაძემ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გადადგა კიდევ ერთი გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯი. საქართველო შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

ედუარდ შევარდნაძემ იცოდა, რომ ქართველთა რეაქცია ამ ნაბიჯზე სხვადასხვაგვარი იქნებოდა. მან მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, — შენიშნავს ბატონი ელცინი.

პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. პოლიტიკური რომანტიზმი დამღუპველია. ედუარდ შევარდნაძე რეალიზმის გზით მიდის.

ედუარდ შევარდნაძემ სწორი ნაბიჯი გადადგა. ამ ნაბიჯს ალტერნატივა ამ ეტაპზე არ გააჩნდა. დიალექტიკური გონებისათვის აქ გაუგებარი არაფერია. ოპოზიციის მეტაფიზიკური გონება დაბნეულია.

ან ომი, ან მშვიდობიანი მოწესრიგება გაეროსა და დსთ-ს მონაწილეობით. სხვა გზა არ არსებობს. სხვა ყველაფერი ამ ეტაპზე ჰგავს ცნობილ ირაციონალურ ფორმულას: არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა. ჩვენ ამ გზით ვერ ვივლით.

ედუარდ შევარდნაძემ მშვიდობიანი მოწესრიგების სტრატეგია და ტაქტიკა არჩია. ეს არის პოლიტიკური რაციონალიზმისა და რეალიზმის გზა.

ყოველგვარი პოლიტიკის გატარება ძნელია, ორჯერ ძნელია არაპოპულარული პოლიტიკის გატარება. ასეთი პოლიტიკის გატარება უჭირდა ყველა ეპოქის ყველა ცეზარს და ყველა ბონაპარტეს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ.

რაციონალური, სწორი პოლიტიკის არაპოპულარობა ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგჯერ მასების აზროვნება და განწყობა ჩამორჩება ეროვნული ლიდერის ფართო თვალთახედვას და ინტელექტუალურ და პოლიტიკურ გამოცდილებას. ვფიქრობ სწორია მსოფლიოს გამოჩენილ პოლიტოლოგთა ეს მოსაზრება.

13. ბორის ელცინი ქართველთა თავმოყვარეობის შესახებ

მსოფლიო ქართველოლოგია ბევრს წერს ქართველების შესახებ.

— უფრო თავმოყვარე ხალხი, ვიდრე ქართველებია, ვფიქრობ, არ არსებობს, — წერს ბატონი ელცინი.

კარგია, რომ ეს იცის რუსეთის პრეზიდენტმა.

მაგრამ ბატონი ელცინი ისეთ კონტექსტში და იმგვარად წერს ქართველთა თავმოყვარეობის შესახებ, რომ ეჭვი გებადება, ის რაღაც იმაზე მეტს ხომ არ გულისხმობს ამ ცნების ქვეშ, ვიდრე ეს სიტყვები ამბობენ.

მთელი წიგნის კონტექსტში ამ ფრაზის ნეგატიური ქვეტექსტი აშკარაა.

განა ძველი რუსული ლიტერატურის ცნობილ ფორმულაში „მოსკოვი მესამე რომია და მეოთხე რომი არასოდეს არ იქნება“, — ნაკლები პატივმოყვარეობაა, ბატონო პრეზიდენტო?!

ან ლომონოსოვისეულ რუსული ენის ქებაში ნაკლები თავმოყვარეობაა, ვიდრე იოანე ზოსიმეს მესიანურ შედევრში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“?

მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ახლა თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო პოლიტიკური მითოლოგიის ერთ პრობლემას, რომელიც წამოჭრა ბორის ელცინის წიგნმა „პრეზიდენტის ჩანაწერები“.

14. იმპერიული რუსეთი და საქართველო. მითი თუ რეალობა?

ელცინი წერს: საქართველოში მეფობს მითი იმის შესახებ, რომ თითქოს იმპერიული რუსეთი ატარებს საქართველოს სახელმწიფოს დანგრევის პოლიტიკას.

ბატონი ელცინი თავის წიგნში უარყოფს ამ ფაქტს და მოტივიც სავსებით გასაგებია.

მაგრამ, სამწუხაროდ, რევანშისტული, იმპერიული ზრახვები არსებობს რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებში, სამხედრო წრეებში.

ეს უცილობელი ფაქტია და მიუხედავად იმისა, უარყოფს მას ბატონი პრეზიდენტი თუ ადასტურებს, ის მაინც არსებობს.

თუნდაც ჟირინოვსკი რად ღირს ან რუცკოი! სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ.

შეიძლება პრეზიდენტს სურდა ეთქვა თავის წიგნში, რომ პრეზიდენტის პოლიტიკა შორსაა ასეთი ზრახვებისაგან. ეს სხვა საქმეა, მაგრამ მაშინ ბატონ ელცინს ნათლად უნდა გამოეკვეთა ეს აზრი, მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა ეს მტკიცება.

ამის ნაცვლად პრეზიდენტმა ახალი მითი შეთხზა: იმპერიული ზრახვები რუსეთში არ არსებობსო, ეს ქართული მითი არისო. თუ ეს მითია, რატომ ჰგავს რუსეთის სინამდვილე თავის თავზე უფრო ამ მითს?!

თითქმის ანალოგიური შეცდომა მოსდის საქართველოს დესტრუქციულ ოპოზიციას: ბატონი ელცინი უარყოფს იმპერიული რუსეთის არსებობას, ჩვენი ოპოზიცია კი — დემოკრატიული რუსეთის არსებობას.

ჭეშმარიტება სხვა სიბრტყეზე დევს.

არსებობს, ბატონებო, ორი რუსეთი: დემოკრატიული და იმპერიული. პირველი ჩვენი მოკავშირე და პარტნიორია, მეორე — მტერი.

15. შეუძლია თუ არა რუსეთს ეთნოკონფლიქტებში საქართველოს დაუჭიროს მხარი?

პარადოქსია, მაგრამ ბატონი ელცინი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ეს რუსეთის ძალღონეს აღემატება.

და თან უმატებს: თავისი უბედურებით დაბრმავებული ქართველები ვერ ხედავენო იმ ფაქტს, რომ ნაციონალურ კონფლიქტებში რუსეთი რომელიმე ერთ მხარეს ვერ ამოუდგებაო გვერდში.

ელცინის ორივე აზრი მიუღებელია ქართველისათვის.

ხოლო გამოთქმა „დაბრმავებული ქართველები“ რუსეთის პრეზიდენტს არ ეკადრება.

იმედი გვაქვს, რომ ეს მოსაზრებები გადაისინჯება კრემლში, რადგანაც ყოველივე ეს პოლიტიკური სტრატეგიის არალოგიკური გადმოცემაა.

მაშ ასე: პრეზიდენტის აზრით, ეთნოკონფლიქტებში რუსეთი რომელიმე ერთ მხარეს ვერ დაუჭერს მხარს. საინტერესოა რატომ?

ხომ არ დაადგა კრემლი ლევ ტოლსტოისა და მაჰათმა განდის „ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის“ ფსევდოფილოსოფიურ გზას?

ან იქნებ ეს რომაული ფორმულის „გათიშე და იბატონეს“ ახალი ფარული პოლიტიკური ფილოსოფიაა?!

გახსოვდეთ, ბატონო პრეზიდენტო, დიდი კარამზინისა არ იყოს „ისტორიას ბოროტი მეხსიერება აქვს“, ყველაფერი ახსოვს.

უფრო ნათლად გამოკვეთეთ აზრი, უფრო ნათლად, ბატონო პრეზიდენტო, მით უმეტეს, რომ შევარდნაძე-ელცინის მოლაპარაკებათა შედეგად ბოლო დროს დიდი წარმატებებია მოპოვებული აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ხალხში დიდი იმედი გაჩნდა. ამ საკითხში პრეზიდენტის წიგნი ხომ არ ჩამორჩა პრეზიდენტის საქმეებს?

დღეს რუსეთის პრეზიდენტის იმიჯი საქართველოში გარკვეულად ამაღლდა და „პრეზიდენტის ჩანაწერების“ ზოგიერთმა პასაჟმა ამას ხელი არ უნდა შეუშალოს.

16. მართლა დადის კრემლში იმამ შამილის აჩრდილი? ვის მხარეზეა რუსეთი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში?

ალბათ, უკვე ისტორიული ანაქრონიზმია ის, რასაც ამ ქვეთავში მოგითხრობთ, მაგრამ წიგნის ამ პასაჟის გამოტოვება არ შეიძლება, რადგანაც ის იდეის ისტორიას ასახავს, „რუსული იდეის“ ისტორიას, მაგრამ არა ფილოსოფოს ბერდიაევისებურად, არამედ პოლიტიკოს ელცინისებურად.

ბატონი ელცინი წერს: აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთი საქართველოს მხარეზე რომ დადგეს, აჯანყდება მთელი ჩრდილოეთი კავკასია, ომის ცეცხლი გადაედება ახალ რეგიონებს. ეს იქნება წარმოუდგენლად მძიმე და რთული, პარტიზანული, მომქანცველი ომი. ეს შემთხვევითი სტრიქონები არ არის. ეს დოქტრინის ანარეკლია და მას ღრმა ანალიზი სჭირდება.

სხვაგან იმავე წიგნში ბატონი ელცინი წერს, რომ რუსეთი ერიდება კავკასიის მეორე ომს:

ეტყობა, შამილის აჩრდილი დადის კრემლში და კირკეგორის „შიშსა და ძრწოლას“ თესავს.

მითის თხზვა ვინმეს თუ უნდა, სწორედ ეს არის მითი.

ეს არც სამართლიანობაა და არც ნეიტრალიტეტი.

ნუთუ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სამართლიან და უსამართლო ომებს ვერ არჩევთ? ამას ჯერ კიდევ ნეტარი ავგუსტინე არჩევდა. თქვენი დოქტრინის თანახმად რუსეთი ერთნაირად უნდა იდგეს როგორც სამართლიანთა, ისე უსამართლოთა მხარეზე?!

ეს სადაური სიმართლე და სამართალია, ბატონო პრეზიდენტო?!

თქვენმა სპიჩრაიტერებმა უკეთ ხომ არ უნდა იაზროვნონ ამ პრობლემებზე? ადრე რუსეთში მავანნი და მავანნი, ნიჟეგოროდულს ურევდნენ ფრანგულში, ახლა სორბონულს ჰარვარდულში? ხვალ კემბრიჯულს ხომ არ აურევენ ლიაპკინ-ტიაპკინურში?!

პოლიტიკურ ფილოსოფიაში ინტელექტუალური სისადავე „პეშეხონსკაია სტარინას“ კატეგორიებით ვერ გადმოიცემა. შინაარსი მოითხოვს თავის ფორმას.

17. საქართველოს საქმეებში რუსეთის მშვიდობიანი ჩარევის საფუძვლები ბატონ ელცინის აზრით

საქართველოს ცხოვრებაში მშვიდობიანი მისიით ჩარევაც კი, ბატონ ელცინის აზრით, უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლის მკაცრად დაცვის საფუძველზე.

ეს ოქროს სიტყვებია.

დასაწყისში იყო სიტყვა, — წერია საღვთო წერილში და სიტყვა იგი იყო ლოგოსი.

დასაწყისში იყო საქმე, — ნათქვამია გოეთეს „ფაუსტში“.

მე ვფიქრობ, ბატონო პრეზიდენტო, რომ დასაწყისში სიტყვაც იყო და საქმეც. შემდეგ აირია ყველაფერი, როგორც ბიბლიურ ბაბილონში.

თქვენ ბრძანებთ სუვერენულ საქართველოს საქმეებში რუსეთის მშვიდობიანი ჩარევის საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპები გამოდგებაო. ეს სწორია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით იბადება რამდენიმე კითხვა.

პირველი. კავკასიის კონფედერაციისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის წამოწყების დროს კრემლს რატომღაც არ გახსენებია საერთაშორისო სამართლის პრინციპების არსებობა. „რუსეთი ჩათრეული აღმოჩნდა ამ ომში“.

საკითხავი ის არის ეს სვიფტის გულივერი როგორ ჩაითრიეს ომში ჯუჯათა ქვეყნის ქონდრის კაცებმა? საქმე პირიქით ხომ არ იყო?!

მეორე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გამორიცხავს ძლიერი სახელმწიფოს ბატონობას სუსტზე. საქართველოში კი საქმე პირიქით არის. უცხოური იმპერიული ძალები გაბატონდნენ ჯერჯერობით სუსტ ეროვნულ დემოკრატიაზე.

საერთაშორისო სამართლის თანახმად არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს ძალის გამოყენების, ომის გაჩაღების, ანექსიის, აგრესიის, გენოციდის, აპარტეიდის უფლება.

არ არსებობს ომში გამარჯვებულის დიქტატის უფლება და ა. შ.

სამწუხაროდ, იმპერიული რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიისა და აფხაზეთის სეპარატისტთა ბანდებს ოკუპირებულ აფხაზეთში ყველა ეს უფლება გააჩნიათ.

რატომ მოხდა ეს?

ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა ბორის ელცინის წიგნი „პრეზიდენტის ჩანაწერები“.

საჭიროა მომავალში მაინც განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის ყველა აუცილებელი დისპოზიტიური და იმპერატიული ნორმა, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაცია, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ეროვნული უშიშროების (ამ ჩვენთვის ახალი პოლიტოლოგიური კატეგორიის) დონეზე დაცულ იქნეს პიროვნება, სახელმწიფო და საზოგადოება.

ბატონი ელცინი შენიშნავს, რომ სიტუაცია დროულად და სწორად შეაფასა ედუარდ შევარდნაძემ და, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ.

— მომავალი გვიჩვენებს, — წერს ბატონი ელცინი, — იყო თუ არა შევარდნაძის ეს ნაბიჯიც ისევე გააზრებული და გამართლებული, როგორც ყველა სხვა მისი ნაბიჯი.

რა საჭირო იყო აქ კანტის კითხვის ნიშანი? ეს ნაბიჯი სწორია. კითხვის კი არა, — აღტაცების, ძახილის ნიშანი უნდა დაესვა აქ ელცინს!

— მე უკეთესობის იმედი მაქვს, — ოპტიმისტურად დასძენს ბატონი პრეზიდენტი.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა აქტიურობამ დადებითი შედეგი გამოიღო — სასიკეთოდ შეიცვალა რუსეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. დაიწყო აფხაზეთის განთავისუფლება.

• • •

ბატონ ელცინის წიგნში, რა თქმა უნდა, ამომწურავად არ არის გადმოცემული ედუარდ შევარდნაძის ფენომენი. და ეს შეუძლებელიცაა ერთ წიგნში. ამას დრო და ტომები სჭირდება. მაგრამ ის, რაც გააკეთა ბატონმა ელცინმა, ობიექტურად, მადლიერების გრძნობით უნდა აღვიქვათ.

მსოფლიო შევარდნაძემცოდნეობაში კიდევ ერთი ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა.

თავის წიგნში ბატონი ბორის ელცინი წერს: „მე ვთვლი, რომ XX საუკუნე დამთავრდა 1991 წლის 19-21 აგვისტოს“...

ეს პირველად ერთმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და პოლიტოლოგმა თქვა, მერე ბატონმა ელცინმა.

და თუ მართლა დადგა XX საუკუნეში XXI საუკუნე, ამაში უდიდესი დამსახურება ისევ და ისევ ედუარდ შევარდნაძეს მიუძღვის და ეს აზრი მუდამ სწორი იქნება, სანამ არსებობს მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი, ლოგიკური კავშირი — ადამიანთა გონებაში, პოლიტიკის ფილოსოფიასა და ისტორიაში.

დადგა ახალი, პროგრესული ერა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში.

ლადო ალფენიძე.

მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

საქართველოს [illegible]

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დადებითად შეაფასა რუსეთის ფედერაციის ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ

ვაშინგტონი, 23 ივნისი. (იტარ-საქდეს-საქინფორმი). „საქართველოში რუსეთის ჯარების განლაგება მიმდინარეობს ამ სახელმწიფოს თანხმობით“ — განაცხადა ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ რეგულარულ ბრიფინგზე საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტინ შელიმ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილების კომენტირებისას მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მაისში ორივე მხარემ „ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და ოქმს, რომლებშიც არსებითად მოითხოვდნენ რუსების მეთაურობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას“.

„შეერთებული შტატები კვლავინდებურად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ეს ადრეც არაერთგზის განვიცხადებია. რუსები მხარს უჭერდნენ ამავე პრინციპებს“, — ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

რუსმა მესანგრეებმა განნაღმეს ქალაქი გალი, აფხაზეთში უსაფრთხოების ზონის დასავლეთის სექტორის ცენტრი

გუდაუთა, 23 ივნისი. (იტარ-საქდეს-საქინფორმი). რუსმა მესანგრეებმა გამოსაყენებლად მოამზადეს ორი საკონტროლო-გასაშვები და ოთხი საკონტროლო-სამეთვალყურეო პუნქტი აფხაზეთის გალის რაიონში. აქ მდებარეობს რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების უსაფრთხოების ზონის დასავლეთის სექტორის შტაბი. ასეთია სამშვიდობო მისიის ფარგლებში ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ხაზზე ოთხშაბათს განხორციელებული ადგილმდებარეობის განნაღმვის პირველი დღის შედეგი. ეს აცნობა იტარ-საქდესის კორესპონდენტს დღეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის სამმართველოს წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში პოლკოვნიკმა ალექსანდრე ლუჩანინოვმა.

როგორც მან თქვა, რუსეთის სამშვიდობო ძალების მომავალი დისლოკაციის ადგილების განნაღმვას აწარმოებს საინჟინრო-მესანგრეთა ბატალიონი როგორც ტექნიკური საშუალებებით, ასევე ნაღმმაძიებელი ძაღლების დახმარებით. რუსმა სამხედროებმა უკვე უახლოეს დღეებში უნდა მოამზადონ თითქმის ორმოცი ბლოკ-საგუშაგო ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობზე.

როგორც ალექსანდრე ლუჩანინოვმა განაცხადა, ახლა მზადდება რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბის მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ფურცლების გავრცელების გზით მოსახლეობას განუმარტავენ რუსეთის არმიის სამშვიდობო მისიის მიზნებსა და ამოცანებს, მათი შესრულების მთავარი პირობა, ოფიცრის აზრით, უნდა გახდეს მდინარე ენგურის უსაფრთხოების ზონაში მოსახლეობის მიერ იარაღის ჩაბარება, მძიმე ტექნიკის, ჯავშნოსანი მანქანებისა და არტილერიის გაყვანა ქართველ-აფხაზთა ამა წლის 15 მაისის შეთანხმებით დათქმულ პოზიციებზე.

ლუჩანინოვის თქმით, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს გადაწყვეტილი აქვთ აღკვეთონ მათ წინააღმდეგ მიმართული მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და გაუფრთხილებლად გახსნან ცეცხლი.

მდინარე ენგურთან

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კვირას აფხაზთა მხარის დაჟინებული მოთხოვნით ქართველმა ხიდმშენებლებმა შეწყვიტეს აღდგენითი სამუშაოები მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდზე. დღეს კი დილიდან სიტუაცია შეიცვალა. ზუგდიდის რაიონში მყოფ ჟურნალისტებს ჯერჯერობით არ აწვდიან ცნობებს იმის თაობაზე, თუ როდის განახლდება ეს სამუშაოები.

22 ივნისის დილიდანვე რუსეთის სამშვიდობო ძალების საინჟინრო-მესანგრეთა ასეულის სამხედრო მოსამსახურენი განაგრძობდნენ პოზიციების მომზადებას მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდის საკონტროლო-გამშვები პუნქტისა და შლაგბაუმის მოსაწყობად.

იმავე დღის დაახლოებით 14 საათსა და 30 წუთზე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხიდან ენგურის საავტომობილო ხიდის გავლით ფეხით აფხაზეთის გალის რაიონში გადაასვენეს გალის რაიონელი ლტოლვილის, 52 წლის ლამარა ქიქნაძის ცხედარი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდში გარდაიცვალა. აფხაზთა მხარის მორიგების შედეგად განსვენებულის ნათესავებმა ცხედარი გადაასვენეს გალის რაიონის სოფელ კონსტიტუციაში, სადაც მას მშობლიურ მიწას მიაბარებენ.

თენგიზ პაჭკორია.

ლტოლვილთა დასაბრუნებლად

როგორც აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგებელმა ედიშერ ჩარგაზიამ, გათვალისწინებულია სამშვიდობო ძალების საკონტროლო-გასაშვები პუნქტი შეიქმნას მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდზე, აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფლებში ხურჩა, ტყაია, განმუხურში. სულ კონფლიქტის ზონაში, გალის რაიონის ჩათვლით, შეიქმნება 30-მდე ასეთი პუნქტი, რომელთა გავლით გადაიყვანენ ლტოლვილებს. საკონტროლო-გასაშვები პუნქტების გახსნის შემდეგ განახლდება აღდგენითი სამუშაოები ენგურის საავტომობილო ხიდზე. აქ თავმოყრილი სპეციალისტებისა და ტექნიკის საშუალებით მაქსიმალურად ერთ დღეში შეიძლება დამთავრდეს სამუშაოები და გაიხსნას მოძრაობა.

მესანგრეებმა განნაღმეს ადგილები განმუხურში მდინარე ენგურის სარკინიგზო ხიდის მიდამოებში. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ეს ნაგებობა ამოქმედდება.

ვისაც სურს დაეუფლოს მედდის ან მეანის (ბებია ქალის) პროფესიას

ფირმა „ბარაკონთან“ არსებული თბილისის საშუალო სპეციალური სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის.

მიიღებიან როგორც სრული, ასევე არასრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, სწავლების ვადა, შესაბამისად, 2 და 3 წელიწადია.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება დღის საათებში 10-დან 16 საათამდე, რკინიგზის კახიანის სახ. საავადმყოფოს ბაზაზე (დიღმის მასივი), მეანობის ფაკულტეტის მოსწავლეები მეანობა-გინეკოლოგიის კურსს გაივლიან აკად. ჩიჩუას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ბაზაზე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ზოგად ბიოლოგიაში - სრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთათვის და ანატომიაში - არასრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთათვის.

სასწავლებელში შემსვლელმა საჭიროა შემოიტანოს შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე; განათლების მოწმობა (დედანი); ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4); პასპორტს (პირადობის მოწმობას) - წარმოადგენს პირადად.

სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული მიიღებს სრული საშუალო სამედიცინო განათლების შესახებ დიპლომს და ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია შრომის დასაქმებასა და სწავლების გაგრძელების კანონმდებლობით.

სასწავლებელში სწავლა ფასიანია.

საბუთები მიიღება ა. წ. 28 ივნისიდან 22 ივლისამდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 15 საათამდე.

ჩვენი მისამართია:
თბილისი, ლუბლიანას ქ. № 5. კახიანის სახ. რკინიგზის საავადმყოფო (დიღმის მასივი).
ცნობებისათვის დარეკეთ:
51-78-20, 51-76-15 დღის საათებში.
22-45-16, 22-52-52 საღამოს საათებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებზე:

დღის სწავლება:

სამშენებლო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, 522 ოთახი)

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა — ქართული, რუსული და ფრანგული სექტორები; კომუნალური მშენებლობა; წყალმომარაგება, წყლის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება; სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობები და ელექტროსადგურები; საზღვაო ნაგებობები და ნავსადგურები; ჰიდროტურბინები და ტუმბოები; სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება; თბოაირმომარაგება — ქართული სექტორები).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობები — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში — ქართული სექტორი).

ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 8, მე-4 სართული, 409 ოთახი)

ენერგეტიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ელექტროენერგიის წარმოების ტექნოლოგია და მართვა; ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების სისტემები და მათი მართვა; ტექნოლოგიური კომპლექსების ელექტროამძრავი და ავტომატიზაცია; თბოელექტროსადგურების ექსპლუატაცია და მართვა; სამრეწველო თბოტექნიკური სისტემების ექსპლუატაცია და მართვა; არატრადიციული ენერგოტექნოლოგიები — ქართული სექტორები; მრეწველობისა და ქალაქების ელექტრომომარაგების სისტემები და მათი მართვა — ქართული და რუსული სექტორები).

ელექტრომექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ელექტრული მანქანების კონსტრუირება და წარმოების ტექნოლოგია; ელექტრული აპარატების კონსტრუირება და წარმოების ტექნოლოგია — ქართული სექტორები);

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგებში — ქართული სექტორი).

სამთო-გეოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 3, 1 სართული, 122 ოთახი)

გეოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: გეოლოგიური აგეგმვა, ძებნა და ძიება; ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია; ნავთობისა და გაზის გეოლოგია; გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ტექნიკა და ტექნოლოგია — ქართული სექტორები).

სამთო ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამარკშეიდერო საქმე; სასარგებლო წიაღისეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება; სასარგებლო წიაღისეულთა გამდიდრება; საშახტო და მიწისქვეშა მშენებლობა; ღია სამთო სამუშაოები; ნავთობისა და გაზის საბადოთა, ნავთობგაზსადენებისა და გაზსაცავების დაპროექტება და ექსპლუატაცია; მანქანები და მოწყობილობა ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და სამთო საწარმოებისათვის; სამთო საწარმოებისა და ნავთობ-გაზის საწარმოების ავტომატიზაცია; სამთოელექტრომექანიკა (ელექტრომექანიკა, საბაგირო და მონორელსური გზები) და მენეჯმენტი — ქართული სექტორები).

გეოდეზიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გამოყენებითი გეოდეზია — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა სამთო საქმესა და გეოლოგიაში — ქართული სექტორი).

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 69, კორპუსი 2, მე-2 სართული, 202 ოთახი)

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; ბიოსამედიცინო პოლიმერებისა და პროდუქტების ტექნოლოგია; არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგია; საწარმოო ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების გამოყენება; ცხიმებისა და გამრეცხი საშუალებების ქიმიური ტექნოლოგია; საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია (ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია, ლიქიორ-არაყის და სპირტის წარმოება); პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია; ელექტროქიმიური ტექნოლოგია (სამედიცინო ელექტროქიმია და ბიოელექტროქიმია); აკუმულატორებისა და ბატარეების წარმოება და რესტავრაცია; კეთილშობილი ლითონების მიღება და საიუველირო ნაკეთობების დაფარვა; დეკორატიული და დამცველი გალვანური დაფარვები; მანგანუმისა და მისი ნაერთების მიღების ტექნოლოგია; ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და ნაკეთობების ქიმიური ტექნოლოგია — ქართული სექტორები; საშენი მასალების, კერამიკისა და მინის ქიმიური ტექნოლოგია — ქართული და რუსული სექტორები.

ბიოტექნოლოგიის სპეციალობა — ქართული სექტორი.

ფარმაციის სპეციალობა — ქართული სექტორი.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, ოთახი ა-548)

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია — ქართული და რუსული სექტორები; ტექნოლოგიური მანქანები და კომპლექსები მანქანათმშენებლობაში; მანქანათმშენებლობის კომპლექსური ავტომატიზაცია; ხის დამუშავების ტექნოლოგია და მოწყობილობები; სამაცივრო და საკომპრესორო ტექნიკა; კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) კონსტრუირება და წარმოება; პრეციზიული მიკროიარაღების (სამედიცინო, საიუველირო) კონსტრუირება და წარმოება; მანქანათმშენებლობის ინჟინერ-პედაგოგი — ქართული სექტორები).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში — ქართული სექტორი).

არქიტექტურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-4 სართული, 402 ოთახი)

არქიტექტურის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ურბანისტიკა; შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; არქიტექტურული დიზაინი — ქართული და რუსული სექტორები).

ფუნდამენტურ მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 4, 2 სართული, 151 ოთახი)

მათემატიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გამოყენებითი მათემატიკა — ქართული სექტორი).

ფიზიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: მყარი ტანის ფიზიკა — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ელექტრონული ტექნიკის მენეჯმენტი და ეკონომიკა — ქართული სექტორი).

ელექტრონული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ელექტრონული ტექნიკის მასალების და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია; მიკროელექტრონიკა და ნახევარგამტარული ხელსაწყოები — ქართული სექტორები; სამრეწველო ელექტრონიკა — ქართული და რუსული სექტორები).

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-3 სართული, 301 ოთახი)

ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ელექტრონული სამედიცინო აპარატურა; პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზა, სერტიფიკაცია და მართვა; კომპიუტერული საზომი ხელსაწყოები და სისტემები — ქართული სექტორები).

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში — ქართული და რუსული სექტორები).

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: კომპიუტერული სისტემები და ქსელები — ქართული, რუსული და ინგლისური სექტორები; ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემები — ქართული და რუსული სექტორები).

სატრანსპორტო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, 547 ოთახი)

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ვაგონები — ქართული სექტორები).

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე — ქართული და რუსული სექტორები).

ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაციები: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება — ქართული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: რკინიგზის მშენებლობა და სალიანდაგო მეურნეობა; საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა — ქართული სექტორები; ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები — ქართული და რუსული სექტორები).

ელექტრომექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ელექტრული ტრანსპორტი — ქართული და რუსული სექტორები).

საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-9 სართული, 908 ოთახი)

ა) საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტისა და საავიაციო წარმოებისათვის

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და მართვის ორგანიზაცია საჰაერო ტრანსპორტზე — ქართული სექტორი).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: თვითმფრინავების წარმოება; საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია; თვითმფრინავების დაპროექტება და კონსტრუირება — ქართული სექტორები).

ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საჰაერო ხომალდების ელექტრონულ ხელსაწყოთა, საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობათა და აეროპორტების ელექტრიფიცირებული კომპლექსების ტექნიკური ექსპლოატაცია — რუსული სექტორი).

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და აეროპორტების კავშირგაბმულობის სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

პილოტირების სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების საფრენოსნო ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: გამომთვლელი მანქანები, სისტემები, კომპლექსები, ქსელები; ინფორმაციის დამუშავებისა და ასახვის ავტომატიზებული სისტემები — ქართული სექტორი).

ბ) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალებისათვის

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორები).

ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საჰაერო ხომალდების ელექტრონულ ხელსაწყოთა, საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობათა და აეროპორტების ელექტრიფიცირებული კომპლექსების ტექნიკური ექსპლოატაცია — რუსული სექტორი).

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და აეროპორტების კავშირგაბმულობის სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

პილოტირების სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების საფრენოსნო ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

კავშირგაბმულობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 8, მე-5 სართული, 501 ოთახი)

ელექტროკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა — ქართული და რუსული სექტორები; მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა; კავშირგაბმულობის ნაგებობებისა და მოწყობილობების მშენებლობა და მონტაჟი — ქართული სექტორები; კავშირგაბმულობის თანამგზავრული და რადიოსარელეო სისტემები — ქართული და ინგლისური სექტორები).

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: რადიოტექნიკა — ქართული და რუსული სექტორები; რადიოკავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა; რადიოელექტრონულ საშუალებათა კონსტრუირება და ტექნოლოგია — ქართული სექტორები).

ჰუმანიტარულ-ტექნიკური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 5, მე-3 სართული, 301 ოთახი)

იურისპრუდენციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საერთაშორისო სამეურნეო სამართალი — ქართული სექტორი).

ჟურნალისტიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა — ქართული სექტორი).

მთარგმნელობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: მთარგმნელი-რეფერენტი — ქართული სექტორი).

რეჟისურის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტექნიკური რეჟისურა და აუდიოვიზუალური წარმოების მენეჯერი — ქართული სექტორი).

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა — ქართული სექტორი).

საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ტურიზმის ბიზნესი — ქართული სექტორები).

მეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
(მ. კოსტავას ქ. 69, კორპუსი 2, მე-5 სართული, 502 ოთახი)

მეტალურგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: შავი ლითონების მეტალურგია; ფერადი ლითონების მეტალურგია; ლითონმცოდნეობა და ლითონთა თერმული დამუშავება; საშემდუღებლო წარმოება; მასალების მიღებისა და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები — ქართული სექტორები; მხატვრული და საკონსტრუქციო სხმულის წარმოება — ქართული და რუსული სექტორები).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია — ქართული სექტორი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
(ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12)

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში; ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში — ქართული სექტორები).

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და ტექნოლოგია — ქართული სექტორი).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და აპარატები — ქართული სექტორი).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა — ქართული სექტორი).

საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ტურიზმის ბიზნესი — ქართული სექტორები).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლება

ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება
(ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12)

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში; ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში — ქართული და რუსული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა; სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა — ქართული და რუსული სექტორები).

ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (საერთაშორისო გადაზიდვები — ქართული და რუსული სექტორები).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა — ქართული და რუსული სექტორები).

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში — ქართული და რუსული სექტორები).

სოხუმის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 4, ოთახი 251)

ა) საღამოს სწავლება:

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია — ქართული სექტორები).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა — ქართული სექტორი).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა — ქართული სექტორი).

ბ) დაუსწრებელი სწავლება:

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში — ქართული და რუსული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; კომუნალური მშენებლობა — ქართული და რუსული სექტორები).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა — ქართული და რუსული სექტორები).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში; ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში — ქართული და რუსული სექტორები).

ცხინვალის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(ცხინვალი, მოსკოვის ქ. 8; გორი, საბჭოს ქ. 37)

ა) საღამოს სწავლება:

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა — ქართული სექტორი).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში — ქართული სექტორი).

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგია — ქართული სექტორი).

ბ) დაუსწრებელი სწავლება:

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: კომუნალური მშენებლობა — ქართული და რუსული სექტორები).

რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი
(ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. 16)

მეტალურგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: შავი ლითონების მეტალურგია — ქართული სექტორი).

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია — ქართული სექტორები).

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგია; საწარმოო ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების გამოყენება — ქართული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა — ქართული სექტორი).

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში — ქართული სექტორი).

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემები — ქართული სექტორი).

ჭიათურის საღამოს სწავლების ფაკულტეტი
(ქ. ჭიათურა, გივი თხელიძის ქ. 14)

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: კომუნალური მშენებლობა — ქართული სექტორი).

სამთო ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: მანქანები და მოწყობილობა ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და სამთო საწარმოებისათვის — ქართული სექტორი).

ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება — ქართული სექტორი).

თბილისის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 5, სართული 4)

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ტექნოლოგიური მანქანები და კომპლექსები მანქანათმშენებლობაში; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობები; სამდინარო ჰიდრონაგებობანი და ელექტროსადგურები — ქართული და რუსული სექტორები).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში — ქართული სექტორები).

ენერგეტიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: მრეწველობისა და ქალაქების ელექტრომომარაგების სისტემები და მართვა; თბოელექტროსადგურების ექსპლუატაცია და მართვა — ქართული და რუსული სექტორები).

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; ბიოსამედიცინო პოლიმერებისა და პროდუქტების ტექნოლოგია; არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგია; პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია — ქართული და რუსული სექტორები).

ბიოტექნოლოგიის სპეციალობა — ქართული და რუსული სექტორები.

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში — ქართული და რუსული სექტორები).

ელექტროკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა — ქართული და რუსული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; წყალმომარაგება, წყლის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება; საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა; სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება — ქართული და რუსული სექტორები).

გეოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გეოლოგიური აგეგმვა, ძებნა და ძიება — ქართული და რუსული სექტორები).

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემები — ქართული და რუსული სექტორები).

ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაციები: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე; საერთაშორისო გადაზიდვები — ქართული და რუსული სექტორები).

კაზრეთის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი, მაღნეულის ქ. 12)

სამთო ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ღია სამთო სამუშაოები; სასარგებლო წიაღისეულთა გამდიდრება — ქართული და რუსული სექტორები).

თელავის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი
(თელავი, უნივერსიტეტის ქ. 1)

ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაცია: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე — ქართული და რუსული სექტორები).

ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამადუღრე და ღვინის წარმოების ტექნოლოგია — ქართული და რუსული სექტორები).

მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
(ქ. ახალციხე, თამარ მეფის ქ. 11)

დაუსწრებელი სწავლება:

მრეწველობისა და ქალაქების ელექტრომომარაგების სისტემები და მათი მართვა; წყალმომარაგება, წყლის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება; კომუნალური მშენებლობა — ქართული და რუსული სექტორები.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალაქენი ასაკის მიუხედავად, გარდა სპეციალობისა „საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია", სადაც მიიღებიან მხოლოდ ვაჟები 16,5-22 წლის ასაკამდე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

— არქიტექტურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შემსვლელები მისაღები გამოცდების დაწყებამდე გაივლიან გასაუბრებას მათემატიკაში. ვინც აქ მიიღებს დადებით შეფასებას დაშვებული იქნება მისაღებ გამოცდებზე შემდეგ საგნებში: ხატვა; მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ფერწერა ან ხაზვა — აბიტურიენტის სურვილის მიხედვით.

— სამშენებლო, ენერგეტიკის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტებში შემსვლელები — მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ხოლო მესამე საგამოცდო საგანს შემსვლელი აირჩევს სურვილის მიხედვით შემდეგი საგნებიდან: ფიზიკა (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); ინფორმატიკა (წერა); ხაზვა; უცხო ენა (ზეპირი).

— სამთო-გეოლოგიურ, საავიაციო და მეტალურგიულ ინსტიტუტებში შემსვლელები: მათემატიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა) და მესამე საგამოცდო საგანი აბიტურიენტის შერჩევით, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

— ფუნდამენტურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობის) გარდა შემსვლელები: ფიზიკა (ზეპირი); მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ხოლო გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკა (ზეპირი, სპეციალური გამოცდა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში (გარდა სპეციალობებისა: ფარმაცია; ბიოტექნოლოგია; საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია; პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია) — ქიმია (ზეპირი); მათემატიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ფარმაციის სპეციალობაზე: ქიმია (ზეპირი); ბიოლოგია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ბიოტექნოლოგიის; საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგიისა და პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგიის სპეციალიზაციებზე — ქიმია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ხოლო მათემატიკა (ზეპირი) ან ბიოლოგია (ზეპირი) აბიტურიენტის არჩევით.

— ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის — საერთაშორისო სამეურნეო სამართლის; ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში; ტურიზმის ბიზნესის სპეციალობებზე შემსვლელები — მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); ტექნიკური რეჟისურისა და აუდიოვიზუალური წარმოების მენეჯერის სპეციალობაზე შემსვლელები შემოქმედებითი ტურის გავლის შემდეგ დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მათემატიკა — (ზეპირი). ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერა); უცხო ენა (ზეპირი); მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობაზე — უცხო ენა (ზეპირი); საქართველოს ისტორია (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალობაზე — საქართველოს ისტორია (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ამავე საგნებში ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების შესაბამის სპეციალობებზე შემსვლელები, გარდა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, სადაც გამოცდა მათემატიკაში ყველა სპეციალობაზე მოეწყობა წერითი ფორმით.

სწავლების ყველა ფორმაზე განცხადებები მიიღება 1-დან 20 ივლისის ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე, შაბათი და კვირა დღეების გარდა, გამოცდები მოეწყობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში 23 ივლისიდან, ხოლო ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქალაქ ბათუმში, თელავის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე — თელავში და მესხეთ-ჯავახეთის რეგიონისთვის — ახალციხეში 16 ივლისიდან. ჩარიცხვა იწარმოებს 5 აგვისტოდან. კონკურსი მოეწყობა სპეციალობების მიხედვით.

შენიშვნა: ა) მისაღები გამოცდები დასაშვებია მხოლოდ შემდეგ უცხო ენებში: ინგლისური; გერმანული; ფრანგული; ესპანური; არაბული; სპარსული; თურქული; ივრითი.

ბ) ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობებზე (ტურიზმის ბიზნესის სპეციალობის გარდა) სავალდებულოა უცხო ენის ჩაბარება ინგლისურში, გერმანულში ან ფრანგულში, ხოლო ტურიზმის ბიზნესის სპეციალობაზე უცხო ენის გამოცდა ბარდება მხოლოდ ინგლისურ ენაში. ამ სპეციალობებზე აბიტურიენტებს შეუძლიათ ჩააბარონ სურვილის მიხედვით დამატებით სხვა უცხო ენაც, რომლის შეფასება გათვალისწინებული იქნება ჩარიცხვის დროს.

გ) ინგლისურ და ფრანგულ სექტორებზე შემსვლელთათვის შესაბამისი უცხო ენის ჩაბარება სავალდებულოა და ამიტომ ისინი მესამე საგამოცდო საგანს აღარ აირჩევენ.

დ) შემოქმედებითი ტური გაიმართება 19 ივლისს და ვინც უარყოფით შეფასებას მიიღებს, ექნება საშუალება 20 ივლისს შეიტანოს საბუთების სხვა, სასურველ სპეციალობაზე.

ე) გასაუბრება მათემატიკაში მოეწყობა 21 ივლისს.

ვ) არქიტექტურის სპეციალობაზე ქართულ და რუსულ სექტორებზე შემსვლელთათვის საკონკურსო ადგილები არ განცალკევდება და კონკურსი საერთოა.

ზ) ქართულ და უცხოენოვან სექტორზე შემსვლელები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ ქართულს, ხოლო რუსულ სექტორზე შემსვლელები — რუსულს. სხვა საგამოცდო საგნები შეიძლება ჩააბაროს აბიტურიენტმა მისთვის სასურველ ენაზე.

თ) სამთო-გეოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სპეციალობებზე ჩარიცხულ სტუდენტებს დაენიშნებათ გაორმაგებული სტიპენდია.

ი) საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე საბუთები მიიღება განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად, ფაკულტეტებთან განლაგებული უახლოესი რაიონების მცხოვრებლებისაგან.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შეაქვთ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება (დადგენილი ფორმის ბლანკი გაიცემა შესაბამის ფაკულტეტზე და ინსტიტუტში);
2. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;
3. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086;
4. 6 ფოტოსურათი ზომით 3X4;

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს (ვაჟები) პირადად წარმოადგენენ. საღამოს სწავლებაზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამუშაო ადგილიდან.

მისაღები გამოცდების მომზადებისა და მოწყობისათვის გაწეული ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად შემსვლელებმა უნდა შეიტანონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბუღალტერიაში შესაბამისი თანხა, რომელიც მათ გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან ჩაჭრის შემთხვევაში უკან არ დაუბრუნდებათ.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით და ჩარიცხვა განხორციელდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით, ცალკეულ საგამოცდო საგნებში კი შეფასებები დაისმება შემდეგი სისტემით: „არადამაკმაყოფილებელი" და აბიტურიენტი შემდეგ გამოცდაზე აღარ დაიშვება; 6 (ექვსი); 7 (შვიდი); 8 (რვა); 9 (ცხრა); 10 (ათი).

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1994-95 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას ფასიან სექტორზე შემდეგ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში დღის ინდივიდუალური გეგმით სწავლების ფორმებზე:

სამშენებლო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, 522 ოთახი)

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში — ქართული სექტორი).

ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 8, მე-4 სართული, 409 ოთახი)

ენერგეტიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: არატრადიციული ენერგოტექნოლოგიები — ქართული სექტორი).

საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ეკონომიკა და მართვა სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგებში — ქართული სექტორი).

მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, ოთახი ა-548)

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: სამანქანათმშენებლო ნაკეთობათა ექსპერტიზა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში; ბუნებრივი ქვის (საიუველირო და სამშენებლო მოსაპირკეთებელი ქვები) დამუშავების ტექნოლოგია; პურის, მაკარონისა და საკონდიტრო საწარმოთა მოწყობილობები; რძისა და რძის პროდუქტების საწარმოთა მოწყობილობები; საკონსერვო წარმოების მოწყობილობები; მხატვრული ავეჯის კონსტრუირება და მოწყობილობები; ტრიკოტაჟის წარმოების მოწყობილობები; მცირე საწარმოთა მოწყობილობა და ტექნოლოგია; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მოწყობილობა ფერმერული მეურნეობებისათვის — ქართული სექტორები).

არქიტექტურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-4 სართული, 402 ოთახი)

არქიტექტურის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ურბანისტიკა; შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; არქიტექტურული დიზაინი — ქართული სექტორები).

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-3 სართული, 301 ოთახი)

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის კომპიუტერული სისტემები; ეკოლოგიური კომპიუტერული სისტემები; კომპიუტერული საგამომცემლო სისტემები; მენეჯმენტი მცირე მეწარმეობაში — ქართული და რუსული სექტორები).

ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ელექტრონული სამედიცინო აპარატურა; ხარისხის მართვა მარკეტინგის სისტემაში; კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია — ქართული და რუსული სექტორები).

სატრანსპორტო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 1, მე-5 სართული, ოთახი 547)

მექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაციები: ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ვაგონები — ქართული და რუსული სექტორები).

ავტომატური მართვის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე — ქართული და რუსული სექტორები).

ტრანსპორტის ექსპლოატაციის სპეციალობა (სპეციალიზაციები: გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა ტრანსპორტზე (საერთაშორისო გადაზიდვები) ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება (სასამართლო-ტექნიკური ექსპერტიზა — ქართული და რუსული სექტორები).

ელექტრომექანიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ელექტრული ტრანსპორტი — ქართული და რუსული სექტორები).

მშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: რკინიგზის მშენებლობა და სალიანდაგო მეურნეობა; საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა; ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები — ქართული და რუსული სექტორები).

საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა — ქართული და რუსული სექტორები).

საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-9 სართული, ოთახი 908)

საინჟინრო-ეკონომიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და მართვის ორგანიზაცია საჰაერო ტრანსპორტზე — ქართული სექტორი).

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობებისა და აეროპორტების კავშირგაბმულობის სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საჰაერო ხომალდების ელექტრონულ ხელსაწყოთა, საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობათა და აეროპორტების ელექტრიფიცირებული კომპლექსების ტექნიკური ექსპლოატაცია — ქართული სექტორი).

კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საავიაციო კომპიუტერული ტექნიკა და სამოქალაქო ავიაციის ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების მართვის ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემები — ქართული სექტორი).

კავშირგაბმულობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 8, მე-5 სართული, ოთახი 501)

რადიოკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაცია: საყოფაცხოვრებო რადიოსატელევიზიო და თანამგზავრული მაუწყებლობის ტექნიკა — ქართული სექტორი).

ელექტროკავშირგაბმულობის სპეციალობა (სპეციალიზაციები: საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაციის სისტემები; ტელეკომუნიკაციის მენეჯერი — ქართული სექტორები).

ფასიან სექტორზე შემსვლელები (არქიტექტურის სპეციალობის გარდა) აბარებენ ტესტურ გამოცდებს მათემატიკასა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელები — ხატვასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. განცხადებები (რომლებსაც თან ერთვის ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები) მიიღება 1-დან 26 ივლისის ჩათვლით, გამოცდები მოეწყობა 30 ივლისიდან.

შენიშვნა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დღის სწავლების სტუდენტებს, რომლებიც გადიან სამხედრო სწავლებას სამხედრო კათედრაზე, გადაუვადდებათ საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვევა უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლებით სათანადო ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებზე და მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში (მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, სართული 1).

მიმღები კომისია

ვის არ მოსწონს ფართომასშტაბიანი ოპერაციები?

თუ ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა ძალისმიერი უწყებების დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ ფართომასშტაბიან ოპერაციებს დღევანდელობის სერიოზულ მოვლენად მიიჩნევს, იმედის თვალით შეჰყურებს და მათ შედეგებს ღირსეულად, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით აფასებს, მეორე, შედარებით მცირე ნაწილი ამ ღონისძიებებში მხოლოდ „საჩვენებელ გამოსვლებს" ხედავს, შეუფარავი ირონიით, საჯაროდ ქირდავს და აპამპულებს... ვინ არის მართალი? ვის დაუჯეროს ხალხმა? ამ საკითხებისთვის ნათლის მოსაფენად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, პოლიციის პოლკოვნიკს მამუკა კობახიძეს მივმართეთ.

— ვინც, რა უნდა, ის თქვას, ფართომასშტაბიანი ოპერაციების საქმიან ხასიათსა და დიდ მნიშვნელობას დღევანდელი კრიმინოგენული სიტუაციის ანალიზი და დინამიკაც ადასტურებს, — ამბობს ბატონი მამუკა. — სასიკეთო ცვლილებები ჩვენს საავტომობილო მაგისტრალებზეც (შუა და ქვემო ქართლი, დასავლეთ საქართველო) კარგად ჩანს. თანაც, ორასამდე მოქალაქე პასუხისგებაში მიცემული, რომელთა ნაწილი გასამართლებულია, ნაწილი — გასამართლების მოლოდინშია... კონკრეტულად კი მაინც რა დადებითი ძვრები მოხდა დიდი ოპერაციების შედეგად?

1. ცნობილია, სამინისტრო და მისი ცალკეული ქვედანაყოფები ხუთი წლის განმავლობაში ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით არ გამოირჩეოდნენ. ახლა ეს ხარვეზი დასძლიეს, საკუთარ ძალებში დარწმუნდნენ. ისიც ირწმუნეს, რომ თურმე შესაძლებელია ნებისმიერი მასშტაბის ოპერაციის განხორციელება, სათანადო შეიარაღებით ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა.

2. მოსახლეობამაც დაინახა, რომ მთლად დაუცველი, ბედის ანაბრად მიტოვებული არ არის; არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს და ებრძოლოს ნებისმიერი რანგის დანაშაულებრივ გაერთიანებებს, მაფიურ კლანებს, და ეს ბრძოლა იმდენად იქნება ეფექტიანი, რამდენადაც ორგანიზებულად და ურთიერთშეთანხმებულად იმოქმედებენ ძალისმიერი სამინისტროები.

3. უმთავრესი მაინც დანაშაულის პროფილაქტიკაა. ვფიქრობ, ბევრი დანაშაულებრივი გაერთიანება, თუ მასთან მიტმასნილი ახალჩამოყალიბებული დამნაშავე ამ რაუნდების შემდეგ, შეეშვა თავის ჩვეულ საქმიანობას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ოპერაციებმა მოსახლეობისაგან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების შეუქცევად პროცესს დაუდეს სათავე.

— რა საჭირო იყო ამოდენა ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებაო, გაიგონებთ ხშირად, თანაც, მართლმსაჯულების ბადეში სულ წვრილფეხები ხვდებოდნენ, „რამკიანი" დამნაშავეები ფანტომასივით ნიადაგ უვნებლად გამოდიოდნენო.

— დღეისათვის, დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები რამდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ. ეს პირველი ეტაპი იყო, სადაც უნდა გამოეყენებინათ და გამოიყენეს კიდეც, ეგრეთ წოდებული „უხეში ძალა", რასაკვირველია, იურიდიული თვალსაზრისითაც, ოპერაციები ყოველთვის უნაკლოდ არ იყო დაგეგმილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პირველი ეტაპია. ხუთი წლის ქაოსის, ნგრევის, პოლიციელთა ხოცვა-ჟლეტისა და განიარაღების შემდეგ დანაშაულებრივი სამყაროს ბიუვალ გოდოლზე მიტანილი პირველი იერიში, ძალების მოსინჯვა, მობილიზაცია, თუნდაც გამოფხიზლებაა...

ჩემი აზრით, ამ ეტაპმა გაიარა და საკმაოდ წარმატებითაც.

მართალია, ყველა ვერ ეგებოდა მოწადინებული მებადურის ანკესზე. ისე, ამას არც ვგეგმავდით, და მეტს არც ველოდით. მეორე ეტაპი პირველისაგან ფორმით, დახვეწილობითა და ოპერატიული შედეგიანობითაც განსხვავებული იქნება. დღეს უკვე იგრძნობა აქეთ სწრაფვა — ყველგან, სადაც ფართომასშტაბიანი რეიდები განხორციელდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სამსახურები, პოლიციის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, კონკრეტულ დამნაშავეთა ჯგუფების გამოვლენასა და დაპატიმრებაზე, კონკრეტული საქმეების გახსნაზე გადავიდნენ.

— ბატონო მამუკა, იმასაც გაბრალებენ, პატრონიან და ჯიბესქელ მსხვილ ყაჩაღ-მძარცველებს რამდენიმე დღეში უვნებლად უშვებდნენო.

— ეს ტყუილია და ახლავე მოგახსენებთ, რატომ, რა დასამალია, ბევრს არ მოსწონდა და დღესაც არ მოსწონს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კრიმინოგენული მდგომარეობის სტაბილიზების ინიციატორებად შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურა რომ გამოვიდნენ. კაცმა რომ თქვას, ზოგიერთს საერთოდ ხელს არ აძლევს წესრიგი; ამიტომ მავანნი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ სტაბილიზაციის პროცესს, სახელი გაუტეხონ „რაუნდებს". ოპერაციაში საშუალოდ 1000-1500 კაცი მონაწილეობს, აკავებენ ძებნილთ, ათობით ეჭვმიტანილს, ართმევენ იარაღს. შემდეგ ეტაპზე უნდა გაირკვეს მათი საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა, ჩამორთმეულ იარაღთან და ნივთებთან დამოკიდებულება. ფილტრაციის შედეგად ძირითადი, ნამდვილი დამნაშავეები რჩებიან... მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოგახსენოთ, არც ერთი დამნაშავე გარეთ არ გასულა, ბევრის მიმართ ზედმეტად მკაცრნიც ვიყავით. ამის მრავალი მაგალითია და შეიძლება ზოგს ბოდიშიც მოვუხადოთ, ამდენად, ასეთი ექსტრემალური სიტუაცია და არაობიექტური კრიტიკა რომ არ ყოფილიყო, ზოგიერთს იქნებ შეღავათიანად, ლოიალურადაც მოვქცეოდით.

ამჟამად, როგორც გითხარით, ორასზე მეტი მოქალაქე პასუხისგებაში მიცემული, მათგან ას ორმოცდაათამდე პატიმარია და უკვე იხდის სასჯელს.

— ამდენად, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ წესრიგის დამყარება ზევიდან უნდა დაგეწყოთ და არა ქვემოდან?

— შარშან, მე ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი და კატეგორიულად მოვითხოვე, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს (ყველა მოვლენას, რომელმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა), მკაცრი სამართლებრივი შეფასება მისცემოდა. ეს შეიძლება, მძიმე ან მსუბუქი დანაშაული, ან სულაც უზნეო საქციელი ყოფილიყო, რომელიც, მართალია, კანონით არ დაისჯებოდა, მაგრამ პირუთვნელად შეფასდებოდა ამ საქციელით ქვეყნისათვის მიყენებული განუზომელი ადამიანური და მორალური ზარალი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

დღეს ყველაზე მეტს ის ყვირის, ყველაზე წესიერად და პატიოსნად იმას მოაქვს თავი, ვინც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ქვეყანა დააქცია. ჩემი აზრით, მათ არა ერთი ისეთი დანაშაული ჩაიდინეს, რომელიც, თუ სათანადოდ მოვიკვლევდით, შევამოწმებდით და ერის სამსჯავროზე გამოვიტანდით, აუცილებლად დაისჯებოდა სისხლის სამართლის წესით.

აქ ინიციატივა სამართალდამცავ ორგანოებს უნდა გამოეჩინათ, არ უნდა დალოდებოდნენ ხელისუფლებისა და, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურის მითითებებს, მაშინვე, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, დაეწყოთ მოქმედება... ეს დღესაც არ არის გვიან. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, ბუნებრივი ისტორიული პროცესების გარდა, რა იყო ქვეყნის ნგრევისა და ამდენი მსხვერპლის მიზეზები.

დაახლოებით იგივე პიროვნებებს არ მოსწონთ ჩვენი სამინისტროს რეიდები, ქვეყნის დამქცევი საბანკო ოპერაციების გახსნისა და ამა თუ იმ დანაშაულებრივი შეიარაღებული ფორმირების განიარაღების ღონისძიებები. ამიტომ გვებრძვიან, ზოგი ფარულად, ზოგი — აშკარად, მაგრამ, უნდა იცოდნენ რომ ეს უაზრო ბრძოლაა, წყლის ნაყვაა. დღის გაცილებით უკეთესი პირობებია ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე ადრე იყო. ამიტომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაც არ უნდა გაჭირდეს.

— იმაზე რას იტყვით, რომ ამ რაუნდების ზოგიერთი მონაწილე ხელმრუდობდა და ჯიბეს ისქელებდა?

— ამ კითხვაზე ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ. 1000-1500 კაციდან ყველა ერთნაირად კეთილსინდისიერი არ იქნება. ეს პრობლემა არსებობს და არც ვმალავთ. ზოგიერთმა რიგითმა თანამშრომელმა, მართლაც, აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებებს, თავი შეირცხვინა, თუმცა არც ერთი მსგავსი ფაქტი სამინისტროს ხელმძღვანელობას ურეაგირებოდ არ დაუტოვებია და ბევრი ხელმრუდი დაისაჯა კიდეც.

— ბატონო მამუკა, ცნობილი „რაუნდების" შემდეგ, გამოძიების თვალსაზრისით რა ტენდენციები შეიმჩნევა ცალკეულ რეგიონებში?

— ცნობილი „რაუნდების" შემდეგ, საგრძნობლად გაუმჯობესდა ოპერატიული მონაცემები, რაც უეჭველად გამოხატულებას პოვებს საგამოძიებო საქმიანობაში. შესამჩნევად შეიცვალა მდგომარეობა ზესტაფონში. ცნობილი „სვირის საძმოს" წევრთა დაკავების შემდეგ, ადგილობრივი პოლიცია, რაიონის ახალი გამგებლის ხელშეწყობით, მთლიანად დაეუფლა სიტუაციის მართვის სადავეებს. სამინისტროსთან ერთად, ამხილეს და დააკავეს არა ერთი საშიში ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, ამ რაიონმა ნელ-ნელა დასძლია თავისი პრობლემები.

იგივე ითქმის, დმანისის რაიონზე, ბოლნისზე, წყალტუბოზე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ოზურგეთის შესახებ. გურიის რეგიონში განხორციელებულ ოპერაციას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, აქ, ეტყობა, მაინც უფრო ორგანიზებული, ოპერატიული და გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო.

თუ შარშან, ოთხ თვეში, დმანისში მხოლოდ ერთი საქმე იყო დამთავრებული, წლეულს ცხრაა. შარშან, ხუთ თვეში, ზესტაფონში, გაუხსნელობის მოტივით, საგამოძიებო ქვედანაყოფილებამ 164 საქმე შეაჩერა, წლეულს მხოლოდ 54. ესეც, უდავოდ, პროგრესის მაჩვენებელია.

მაინც რისი თქმა მინდა ამ ციფრებით?

ფართომასშტაბიან ღონისძიებებს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა დაწყებულ საქმეს უნარიანად აგრძელებენ პოლიციის ადგილობრივი ორგანოები.

— მცხეთისა და წინანდლის ოპერაციებს ზოგიერთმა ახალფეხადგმული ქართული ბიზნესისათვის ზურგში ჩაცემული მახვილი უწოდა. რამდენად შეესაბამება ეს სიტყვები სინამდვილეს?

— მცხეთისა და წინანდლის ოპერაციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მცხეთაში საკმაოდ ძლიერ, ორგანიზებულ, შეიარაღებულ ჯგუფთან გვქონდა საქმე. გემახსოვრებათ, მათი შეიარაღების მრავალსახეობა, „ნურსის" ტიპის რაკეტებსაც ფლობდნენ... თანაც, თავიანთი საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში ჰქონდათ გადატანილი, ძალმომრეობდნენ, ასე რომ, ამგვარი ბიზნესი არავის სჭირდება. ეს ბიზნესი კი არა, ძალადობის გზით სიმდიდრის მოხვეჭაა.

თელავის საქმეზე ახლაც გრძელდება გამოძიება, მაგრამ რასაც ველოდით, ის შედეგი ვერ მივიღეთ (მხედველობაში მაქვს, ქარხნის ღვინო-მასალების უკანონოდ გაზიდვა). ახლა უფრო ამ ქარხანასთან არსებული ფირმების საქმიანობა გვაეჭვებს. თუმცა, არის ერთი მომენტი, რომელიც, ვფიქრობ, მომავალში სწორ გზაზე დაგვაყენებს და ეკონომიკის გაჯანსაღებაში დიდ როლს შეასრულებს... ზემდგომი ორგანოები ლიცენზიებს აძლევენ ფირმებს, ისინი კი ქარხნებში ყიდულობენ ღვინომასალებს, თითქოს კვების პროდუქტებზე გადასაცვლელად და გააქვთ, არავინ იცის, სად?! ეს ბიზნესის მახინჯი ფორმაა. ასეთი პროდუქტების იმპორტი თავად სახელმწიფომ უნდა აწარმოოს და შემოსავალი ნამდვილად, ორგანიზებულად მოახმაროს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

— ბატონო მამუკა, დასასრულ, ერთიც მინდა გკითხოთ: ზოგიერთი აშკარად თუ ფარულად აცხადებს, რომ თავისი სამხედრო ფორმირებით, ანუ იმ დარჩეული ბიჭებით, რომლებიც მას ემორჩილებიან, რამდენიმე თვეში იდეალურ წესრიგს დაამყარებს ქვეყანაში. რამდენად სერიოზულია ასეთი განცხადებები?

— უკვე ხუთი წელიწადია, შესანიშნავად ვხედავთ, ზოგიერთი სამხედრო ფორმირების ძალებით დამყარებულ წესრიგს, ამიტომ მსგავსი საქმიანობით ნუღარ შეწუხდებიან.

სამხედრო ფორმირებები სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეხმარონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ თავად იქნებიან მოწესრიგებული. ისე, წესრიგი წესრიგის დამცველებმა უნდა დაიცვან, სამხედრო ფორმირებებმა კი თავისი საქმე აკეთონ, ოღონდ გაცილებით უფრო კვალიფიციურად.

ზაურ მაკარაძე.

P.S. 17 ივნისს გურიაში განმეორებით განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომელშიც 1200 კაცი მონაწილეობდა... პარალელურად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას ბრძანებითა და ინიციატივით დამნაშავეთა დასაკავებლად და ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად, ადგილობრივი პოლიციის ძალებით, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მოეწყო ანალოგიური ოპერაციები.

საბოლოოდ, ერთი დღის განმავლობაში, უკანონო მფლობელებს ჩამოართვეს 231 ქარხნული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, 86 ავტომატი, 18 შაშხანა, 19 დამბაჩა, 7 ტყვიამფრქვევი, 3 ყუმბარმტყორცნი, 98 სანადირო თოფი, დიდძალი ტყვია-წამალი; გამოავლინეს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან დაკავშირებული დანაშაულის 38 შემთხვევა, გახსნეს სისხლის სამართლის 52 დანაშაული, დააკავეს 65 ძებნილი, იპოვეს 21 მოტაცებული ავტომანქანა, ავტომანქანის 105 სახურავი, 25 ტონა ფერადი ლითონი...

ზ. მ.

საქმეს სასიკეთოდ წაადგება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო ეკონომიკური საბჭოს წევრის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ბატონ ვლადიმერ პაპავას სტატია — „პოლიტიკური სტაბილურობა და ტრანსნაციონალური კორპორაციები", რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1994 წლის 11 მაისის ნომერში გამოქვეყნდა, ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის საკითხებს ეძღვნება.

ჩვენი ეკონომიკა ღრმა კრიზისშია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური საფუძვლები ყოფნა-არყოფნის მიჯნაზეა. და ეს მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად უმთავრესად ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობით არის გამოწვეული. ბატონ ვლადიმერ პაპავას დასკვნა, აგრეთვე, პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების უდიდესი ნაწილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი უმთავრესი მიზეზები ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებისგან იღებს სათავეს, ყურადსაღებია, სარწმუნოა. და იმისათვის, რომ კრიზისი ახლო მომავალში უფრო არ გამწვავდეს, ნამდვილად საჭიროა საქართველოსა და მისი ჩრდილოელი მეზობლების ინტერესთა ურთიერთხელსაყრელი შეთანაწყობა. მეორე, რაც ამასთან ერთად უნდა გაკეთდეს, არის მსოფლიოს დიდი შვიდეულის ქვეყნების საქართველოს სტაბილურობით იმდენად დაინტერესება, რომ ისინი მართლაც წინ აღუდგნენ საქართველოსადმი მისი ჩრდილოელი მეზობლების არაკეთილმეზობლურ ქმედებებს.

დიახ, სრულიად მართალია ბატონი ვლადიმერი იმაში, რომ ჯერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ტრანსნაციონალური კორპორაციების, ხოლო შემდეგ მსოფლიოს დიდი შვიდეულისა და სხვა ქვეყნების ფირმებთან ერთად საქართველოში ასეთი ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბება უთუოდ განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში არამარტო პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებას, არამედ, ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, შემდეგ და შემდეგ კი, ეკონომიკურ აღმავლობასაც.

სტატიაში სწორად არის წამოჭრილი ის საკითხიც, თუ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში საქართველოდან რომელ საწარმოთა გაერთიანება იქნება მიზანშეწონილი. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს სტატიის ავტორის მოსაზრებებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში საგანგებო სახელმწიფოებრივი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რომ იგი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად უნდა გადაწყდეს და ეს პროცესი თავიდან ბოლომდე სახელმწიფომ უნდა არეგულიროს. დიდი ჭეშმარიტება და გონივრული შორსმჭვრეტელობაა იმაშიც, რომ დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული ტრანსნაციონალურ კორპორაციაში იმ საწარმოთა გაერთიანება, რომლებიც უმთავრესად თავმოყრილია თბილისში, კახეთში, სამხრეთ საქართველოს რეგიონებში, ხოლო მომდევნო ეტაპზე ამ ქსელის გაფართოებას საქართველოს სხვა რეგიონებში განლაგებული [illegible] საწარმოებშიც. ახლა მთავარია საქართველოს მომავლისთვის ამ [illegible] მნიშვნელობის პრობლემის [illegible] საკითხი დაუხანებლად მოგვარდეს — დაჩქარდეს საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნისა და მათში სამამულო საწარმოთა მონაწილეობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-მიღება, ტრანსეროვნული კორპორაციების ჯერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, ხოლო შემდეგ მსოფლიოს დიდი შვიდეულისა და ზოგიერთ სხვა ქვეყნების ფარგლებშიც დაფუძნება-ამოქმედება. მთავარზე უფრო მთავარია ისიც, რომ ამ იდეის ავტორი ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს არ ჩამოვაშოროთ; პირიქით, იგი ყოველმხრივ წავახალისოთ და დავუჭიროთ მხარი, რომ იგი უშუალოდ მეთაურობდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების საკანონმდებლო ასპექტის შექმნას, ტრანსნაციონალურ კორპორაციების შექმნა-დაფუძნებისა და მასში სამამულო საწარმოთა მონაწილეობის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას.

გვჯერა, თუ ეს ასე გაკეთდება, ბატონ ვლადიმერ პაპავას მოსაზრებები არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და დაუყოვნებლივ დაიწყება საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცება, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, შემდეგ და შემდეგ კი ეკონომიკური აღმავლობაც.

ალექსანდრე კუპუხიძე,
საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი.

გიწვევთ სასწავლებლად

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის.

ESM-თბილისი ამზადებს ფინანსების, მარკეტინგის, საერთაშორისო-კომერციული საქმიანობის მართვის სპეციალისტებს (ESM-International-თან ერთად) და წარმოების მენეჯერს (გფრ-ის ქ. მოსბახის პროფესიულ აკადემიასთან ერთად).

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან ახალგაზრდები 25 წლის ასაკამდე. სწავლების ფორმა დღის დასწრებული. გათვალისწინებულია სტაჟირებები საზღვარგარეთ. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სწავლება ფასიანია, მისი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს შესაბამისად ESM-International-ის ან Berufsakademie-ის დიპლომს. დიპლომებს აქვს იურიდიული ძალა ევროპაში. ESM-თბილისის სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 11-დან 16 ივლისამდე
მათემატიკაში (ტესტები), ქართული ენაში (წაკითხულის შინაარსი),
უცხო ენაში- ინგლისური, ფრანგული, გერმანული (ტესტები).

საბუთები მიიღება ESM-თბილისის მიმღები კომისიის მიერ ყოველდღე 27 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით (გარდა კვირისა) 11 საათიდან 18 საათამდე. ოთახი 413, 401.

ESM
თბილისი/TBILISI

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40,
(მეტრო "დელისთან") ESM—თბილისი.
ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73
39-44-57 39-65-90

აჰმად ზაიად აბადინეჯიდი

ბოსნია და ჰერცეგოვინა: კრიზისის სათავეები

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სერბთა მიერ მუსლიმანების უმოწყალო გენოციდმა და „ეთნიკური წმენდის" ლოზუნგით მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მუსლიმანთა გასახლებლად ბელგრადელ ხელისუფალთა შეთანხმებულმა მოქმედებამ — დღეს ისეთი ტრაგიკული მასშტაბი მიიღო, რომ დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დასავლელი ლიდერებიც იძულებული გახდნენ ეღიარებინათ. ყოფილი იუგოსლავიის მუსლიმანთა ტერიტორიაზე ბოლო თვეებში მოხდა ზოგიერთი საზარელი დანაშაული და მათ და სხვა მხეცურ დანაშაულობებში ბრალი სერბებისთვის დაედოთ. დასავლეთში გაისმა მოწოდებები, დაუყოვნებლივ გადაედგათ ნაბიჯები უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლად.

მუსლიმანთათვის შექმნილი სერბთა საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ ფილმების ტრანსლაციამ და უდანაშაულო ტყვეების შესახედაობამ, რომლებიც გადატანილი ტანჯვა-წამების გამო მიცვალებულებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ცოცხლებს, საზოგადოებრივი აზრი ააფორიაქა და დასავლეთის ხალხებს ნაციტური საკონცენტრაციო ბანაკები გაახსენა. ამ კადრებმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმის გამო, რომ დასავლეთი გულგრილად მოეკიდა სისხლისღვრას მუსლიმანთა ტერიტორიაზე. ყოფილ იუგოსლავიის ტერიტორიაზე მუსლიმანთა საცხოვრებელ რაიონებში ბოლო თვეებში მომხდარმა საზარელმა დანაშაულობებმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მათი დამალვის ცდები უსარგებლო აღმოჩნდა. ამიტომაც, დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ამ თვეების განმავლობაში ყოველნაირად ცდილობდნენ შეემცირებინათ ბოსნიაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა მნიშვნელობა, ახლა ტლანქად ჩქარობენ ყველა ცოდვა დააწმინდონ მეორე ძალას, სახელდობრ — სერბთა უმცირესობას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. და ამგვარად გაამართლოს დასავლელი მმართველები ისევე, როგორც ბელგრადელი ხელისუფალნი და ხორვატი ლიდერები.

მაგრამ დაძაბული ყურადღება ბოსნიაში მომხდარზე და იმის კრიტიკული ანალიზი თუ როგორ განმარტავდნენ დასავლეთის პრესა და ტელევიზია ამ სისხლიან მოვლენებს, არც ერთ ინფორმირებულ მიმომხილველს მცირე ეჭვსაც არ დაუტოვებს, რომ პასუხისმგებლობა აწევთ დასავლელ ლიდერებს და ისინი არანაკლებ დამნაშავენი არიან, ვიდრე დანაშაულის უშუალო შემსრულებლები.

ამ ბოლო დროიდან მოყოლებული დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს დასავლეთი არაფერ პასუხს არ აგებს იმისათვის, რაც ყოფილი იუგოსლავიის მუსლიმანურ რაიონებში მოხდა, არამედ დასავლეთმა ბოლო რამდენიმე თვეში ყველა ღონისძიება განახორციელა მსხვერპლთა ინტერესებისათვის. დასავლეთის პრესის ცნობიერებასა და ხრიკებს შორის შეიძლება აღინიშნოს ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომლებიც კიცხავენ ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, მარტივად რომ ვთქვათ, მშობლიური ადგილებიდან მუსლიმანი მოსახლეობის განდევნას ან მის ფიზიკურ მოსპობას იმისათვის, რომ შემდგომ ეს ტერიტორიები სერბებმა და ხორვატებმა გაიყონ.

პროფესორმა ნორმან ისტონმა გულდასმით გააანალიზა კრიზისის ჭეშმარიტი ისტორიული ფესვები ყოფილ იუგოსლავიაში და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ამჟამინდელი მოვლენების საწყისი მიზეზია მტრობა ამ რეგიონში მოსახლე ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ისტორიული ანალიზის შემცველი მისი სტატია ნათელს ჰფენს მოვლენების ერთ-ერთ ურთულეს ასპექტს ყოფილ იუგოსლავიაში, აგრეთვე ეხება მათ ისტორიულ პრეცედენტებს.

პროფესორ ნორმან ისტონს, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში უახლეს ისტორიას ასწავლის, მიაჩნია, რომ ყოფილ იუგოსლავიაში თანამედროვე კონფლიქტების ფესვები უნდა ვეძებოთ ჯერ კიდევ რომის იმპერატორ კონსტანტინეს დროს ამ ტერიტორიის გამიჯვნაში.

კონსტანტინეს მმართველობის დროს რომმა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია: მისი ქვეშევრდომი ქვეყნები გადაჭიმული იყო შოტლანდიიდან სომხეთამდე. მაგრამ დიდება რომის იმპერიის დასუსტებისა და დაშლის პრელუდიად გადაიქცა. კონსტანტინემ ვეღარ შეძლო ასეთი ვრცელი სახელმწიფოს მართვა და იძულებული გახდა იგი ორ ნაწილად — აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის იმპერიებად გაეყო. მას შემდეგ იმპერიის გერბი — ჰაერში მოლივლივე არწივი — ძალაუფლების სიმბოლო, ორთავიან არწივად გადაიქცა, რომლის ერთი თავი იყურებოდა აღმოსავლეთისაკენ, მეორე — დასავლეთისაკენ. ორთავიანი არწივის ტანი თითქოს წარმოადგენდა სხეულს, რომელიც იმპერიის ორივე ნაწილს — აღმოსავლეთსა და დასავლეთს ეკუთვნოდა, ხოლო ფრინველის კისერი — იქ, სადაც ის ორად იყოფოდა, ზუსტად იმ რეგიონს დაემთხვა, რომელსაც ახლა ბალკანეთის ნახევარკუნძულს ვუწოდებთ. იმპერიული არწივის კისრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა ტერიტორია, რომელსაც ახლა სერბია ჰქვია, ხოლო დასავლეთით — ხორვატია, ბოსნია და თანამედროვე სლოვენია. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი მალე თურქმა მუსლიმანებმა დაიპყრეს და ოსმალთა იმპერიის ნაწილად გადაიქცა. ოსმალები ეგუებოდნენ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს და იქ მართლმადიდებლური ეკლესიაც კი ააგეს. დასავლეთ ნაწილში დომინირებდა კათოლიციზმი და მალე კათოლიკური რელიგია გაბატონდა დასავლეთში და ბოლო მოეღო რომის იმპერიას.

XIX საუკუნეში, როცა ავსტრიამ ოსმალებთან ბრძოლებში დაკარგული თავისი მიწა-წყალი დაიბრუნა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსახლე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმაც გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა, მაგრამ მათი ტერიტორიების გამიჯვნის მეთოდები ისეთი იყო, რომ მხოლოდ გაამწვავა ძველი მტრობა და შეურიგებლობა. ნახევარკუნძულის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში იყვნენ სლავი კათოლიკები (ხორვატები), ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთის მართავდნენ მართლმადიდებელი სლავები (სერბები) და მუსლიმანები. იმის მიუხედავად, რომ ეთნიკურად ეს პიროვნებები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებოდნენ და [illegible] ენაზე ლაპარაკობდნენ, მათი რელიგიური შეხედულებანი შესამჩნევად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

XX საუკუნეში ნაციონალისტურმა მოძრაობებმა, რომელთა ზურგს უკან იდგნენ დასავლელი მთავრობები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაამწვავეს ეთნიკური წინააღმდეგობანი და პირველი მსოფლიო ომის პროვოცირება მოაწყვეს. ომის შემდგომ ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები სლავი კათოლიკები (ხორვატები) და სამხრეთსა და აღმოსავლეთში მცხოვრები მართლმადიდებელი სლავები (სერბები) მორიგდნენ — სერბიის მართლმადიდებელი მეფის ალექსანდრეს მმართველობით შექმნეს სლავთა კავშირი. ასე წარმოიშვა იუგოსლავია, ანუ სამხრეთ სლავების სახელმწიფო. ამის მიუხედავად, ხორვატებისა და სერბთა ურთიერთობა ამ კავშირში სრულიადაც არ იყო მშვიდი. 1928 წელს სერბების ტყვიით დაიღუპნენ სკუპშჩინის ხორვატი დეპუტატები, ხოლო მეფე ალექსანდრემ ხორვატიის ტერიტორიაზე დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. 1939 წელს ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც იუგოსლავიის ხორვატულმა ნაწილმა ავტონომია მიიღო. თითქოს ამით ორივე ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიანი თანაარსებობის ახალი ერა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ატეხილმა მეორე მსოფლიო ომმა მათ შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. იტალიამ მოახდინა ადრიატიკის სანაპიროს ოკუპაცია, გერმანიამ სერბია დაიპყრო, ხორვატიაში კი მარიონეტული მთავრობა წამოასკუპეს.

ხორვატთა ნაწილმა დაიწყო სერბების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, როცა მეორე ნაწილი იუგოსლავიის მომავალი ლიდერის ტიტოს მეთაურობით გახდა სერბთა მოკავშირე ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. ომის დამთავრების შემდეგ ტიტომ შეადგინა იუგოსლავიის ახალი კონსტიტუციის პროექტი და ქვეყანა ექვს რესპუბლიკად გაყო, რომლებშიც ხუთი ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ. ოფიციალურად აღიარეს ოთხი ენა და სამი ძირითადი რელიგია. ქვეყანაში უპირატესი იყო ორი ანბანი, ხოლო ყველა სახელმწიფო საქმეს წყვეტდა ერთი პარტია. მართალია პარტიისა და არმიის კონტროლი სერბების ხელში იყო, რომლებიც ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ (დაახლოებით 9,8 მლნ კაცი), ტიტომ გაითვალისწინა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და მათ სახელმწიფოში ზოგიერთი საკვანძო პოსტი გადასცა. ამ ღონისძიებებმა რამდენადმე თავიდან აიცილა სერბთა მიერ მთელი ხელისუფლების მონოპოლიზება. მაგრამ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, 1980 წელს, იუგოსლავიაზე მისი გამაერთიანებელი გავლენა არარაობად იქცა და ადგილობრივმა ეროვნულმა ძალებმა განაახლეს დამოუკიდებლობის მიღების ცდები. იმის მიუხედავად, რომ ექვსი ეთნიკური ჯგუფი, ასე თუ ისე, კომპაქტურად ცხოვრობდა იუგოსლავიის სხვადასხვა რესპუბლიკაში, ქვეყნის დაყოფის მეთოდმა წარმოშვა იგივე ისტორიული განხეთქილება, რომელიც რომის იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის დროს მოხდა იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფის შემდეგ.

ევროპის ცენტრში დამოუკიდებელი ისლამური რესპუბლიკის გაჩენის შიში — მუსლიმთა დაუფარავი გენოციდის მდუმარე თანხმობის მიზეზი

იუგოსლავიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ სლოვენები, დაახლოებით ორი მილიონი კაცი. ეთნიკურად ისინი სერბები არიან. წარსულში სლოვენები გერმანელებისა და ჩეხების ძლიერ გავლენას განიცდიდნენ, მოგვიანებით — ავსტრიელებისას. სლოვენები კათოლიკები არიან, იმის მიუხედავად, რომ მათ ტერიტორიაში იყო პროტესტანტული სარწმუნოების ბატონობის ხანმოკლე პერიოდი, რამაც მათ რელიგიურ შეხედულებებს დაღი დაასვა, სლოვენები ძლიერ განიცდიან დასავლურ გავლენას, ამიტომაც შარშან, წლის დამლევს, მისი დამოუკიდებლობის მოპოვების ღონისძიებებს დასავლეთის ყველა ქვეყანამ უსიტყვოდ დაუჭირა მხარი. ყოფილი იუგოსლავიის ხელ[illegible] წინააღმდეგ[illegible] სლოვენიის [illegible] აღიარეს. უახლოეს მომავალში სლოვენია შეუერთდება ევროპის თანამეგობრობას და შევა მასში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სლოვენიის გადაწყვეტილებამ, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, ხორვატები ანალოგიური ნაბიჯის გადასადგმელად წააქეზა. როგორც პროფესორი ისტონი წერს, ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ხორვატები არიელები არიან, ხოლო ეთნონიმი „ხორვატი" („კროატი") — სიტყვა „ქურთი"-დან არის ნაწარმოები. ისინი თავიანთ ჯოგებთან ერთად ირანის ზეგანიდან მომთაბარეობდნენ, რომის იმპერიის დამხობის პერიოდისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე მიაღწიეს და მათი ცხოვრების არეალი სამხრეთში ბოსნიის საზღვრებამდე გადაიჭიმა. ხორვატებმა სახელი გაითქვეს ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს. XIX საუკუნის განმავლობაში ბრიტანეთისა და ამერიკის მხარდაჭერით ხორვატები წინაღუდგნენ სერბთა გავლენას, აღორძინეს თავიანთი ეროვნული თვითშეგნება. ახლა ისინი 4.7 მლნ კაცს ითვლიან და სერბებთან რამდენიმე თვის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ბელგრადელ ხელისუფალთა ერთგვარი აღიარება მოიპოვეს. ეს აღიარება (როგორც მიმომხილველები ფიქრობენ — ძალზე სუსტი) გულისხმობს, რომ სერბები ხორვატიის დამოუკიდებლობას აღიარებენ. მაგრამ იქ 700-ათასიანი ძლიერი სერბთა უმცირესობის ყოფნა დაძაბულობას ქმნის, რაც გაეროს მეთვალყურეთა შეყვანის საბაბი გახდა. ახლა ხორვატიაში სამშვიდობო ძალთა 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე აკონტროლებს 10 ათასი ადამიანის დაღუპვისა და ისტორიული შენობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დანგრევის შემდეგ შარშან იანვარში. დადებული ზავის პირობების დაცვას.

იუგოსლავიაში მესამე ეთნიკური ჯგუფი სერბები არიან, რომლებიც თურქებთან მოხაჩის ბრძოლაში დამარცხდნენ და ხუთასი წლით თურქთა უღელქვეშ აღმოჩნდნენ. ხორვატებისაგან განსხვავებით, სერბები ეთნიკურად [illegible] არიან, ისინი მართლმა[illegible] [illegible] და ტრადიციულად ძლიერი გავლენა აქვთ რუსეთში. XIX საუკუნეში სერბებმა თავისი მიწა-წყლიდან განდევნეს ოსმალო თურქები. ამასთან, მათ მოაწყვეს თურქებისა და იუგოსლავიაში მცხოვრები სხვა მუსლიმანების ხოცვა-ჟლეტა, რომელიც სულაც არ განსხვავდება ბოსნიელთა ახლანდელი ჟლეტისაგან. ისინი ანგრევდნენ მეჩეთებს, სახლებს, აპარტახებდნენ მუსლიმანთა მეურნეობებს, ოცნებობდნენ შეექმნათ დიდი სერბია, ანუ სახელმწიფო, რომელიც სამხრეთის ყველა სლავთა მიწა-წყალს გააერთიანებდა.

სერბიის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ჩერნოგორია, რომლის მოსახლეობა დაახლოებით ნახევარ მილიონ სლავს შეადგენს. ეთნიკურად ისინი სერბებისაგან სულაც არ განსხვავდებიან. იმის მიუხედავად, რომ იქ არსებობს ალბანელთა შესამჩნევი ეროვნული უმცირესობა, ჩერნოგორია თავის თავს სერბიის ნაწილად მიიჩნევს.

იუგოსლავიის ყველაზე სამხრეთი რესპუბლიკაა მაკედონია, სადაც ცხოვრობენ სერბები, მუსლიმანები და ბერძნები. საბერძნეთი პროტესტს აცხადებს მაკედონიის მისწრაფების წინააღმდეგ გახდეს დამოუკიდებელი და სიცილად არ ყოფნის თვით სლავური მაკედონიის არსებობა, რადგანაც ისტორიული თვალსაზრისით მაკედონია — ეს არის ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო, იგი ძველი საბერძნეთის ნაწილი იყო, ხოლო მისი ეთნიკური ფესვები და ენა — ბერძნული. მაკედონიის დასავლეთსა და ჩრდილოეთში მდებარეობს ავტონომიური მხარე — კოსოვო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა (90 პროცენტი) ალბანელი მუსლიმანები არიან. მათ ენას აქვს ინდო-ევროპული ფესვები. ანუ [illegible] იმავე ჯგუფს, რომელსაც მიეკუთვნება ინგლისური ენა, სანსკრიტი, ფარსი. სერბიას კოსოვოს რაიმე დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი არ სურს, და ეს რომ არ მოხდეს, მან იქ სამხედრო მთავრობა შექმნა.

იუგოსლავთა ბოლო ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რომლებიც ბოლო თვეებში მხეცური და სისხლიანი იერიშების ასპარეზად გადაიქცნენ.

სიტყვა „ჰერცეგოვინა" გერმანული წარმოშობისაა. როცა ოსმალებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბოსნიაში შეაღწიეს, ისინი იქ ხვდებოდნენ სლავებს, რომლებსაც მართლმადიდებლური სარწმუნოების მიღება არ სურდათ. თურქებმა მათ შესთავაზეს ერთობლივად ებრძოლათ მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. წინადადება მიიღეს. სლავები ასე გახდნენ მუსლიმანები. 1878 წლამდე ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ოფიციალურად თურქები მართავდნენ, ხოლო ამის შემდეგ ბოსნიელთა ერთი თაობა გაიზარდა ავსტრო-უნგრეთის გამგებლობაში. მაგრამ ამან პრაქტიკულად ვერ შეასუსტა ოსმალთა იმპერიის გავლენა. ამჟამად ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მოსახლეობა ითვლის 4.4 მლნ კაცს, რომელთა 43.7 პროცენტს მუსლიმანები შეადგენენ. ბოსნიელ მუსლიმანთა წინააღმდეგ სერბების ცხრა თვის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ სერბებისა და ხორვატების ალიანსის მოწმეები გავხდით. არც ისე დიდი ხნის წინათ ხორვატები ეძებდნენ მუსლიმანების მხარდაჭერას სერბთა აგრესიის მოსაგერიებლად. მაგრამ ახლა, როცა 180 გრადუსით მოახდინეს შემობრუნება, მათ შეასუსტეს თავიანთი ამჟამინდელი მოკავშირეების პოზიციები.

ამ პირობებში ბოსნიელები იძულებული არიან შეურიგდნენ დეცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება არა ჰყავს, ეტყობა, ძალთა თანაფარდობამ ყოფილ იუგოსლავიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ასეთი ბედი მოუმზადა.

„ათი-თავჰიდი",
ისლამური პერსპექტივის რუსული ჟურნალი (გამოდის მოსკოვში).
1994 წ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ცვლილებები ეხება ბუნებრივი გაზის გადასახადების ურჩი გადამხდელების დაჯარიმებას.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში სალარო მეურნეობის გაძღოლის შესახებ, აგრეთვე დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამსახურებრივი და დიპლომატიური პასპორტების შესახებ.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა და პარლამენტს წარუდგინა განსახილველად კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. ამ ცვლილების მიხედვით კომერციულ ბანკებს უნდა მიეცეთ უფლება აწარმოონ სამეურნეო საქმიანობა კანონით დადგენილი წესით. მათ ეკრძალებათ საქმიანობა დაზღვევის სფეროში.

ბონი. თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი ოფიციალური ვიზიტით გერმანიის დედაქალაქ ბონში იმყოფება. 22 ივნისს ნ. ლეკიშვილი მიიღო ქ. ბონის ბურგომისტრმა, დოქტორმა ჰანს დანიელმა. საუბარმა თბილ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს ქ. თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი და საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი მიიღო ქ. ბონის ობერბურგომისტრმა.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ბაღდათის რაიონის კულტურის სახლს მიენიჭა კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სახელი, ხოლო ქალაქ გორის სამუსიკო სასწავლებელს კომპოზიტორ სულხან ცინცაძის სახელი.

თბილისი. თბილისში დღემდე ვერ ხერხდება გასულ წლებში მოსახლეობისათვის განაწილებული 47 სახელმწიფო და 50 კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა საცდელად ნება დაერთოს ჩაბარდეს ის სახლები, რომელთა სამუშაოების 70-80 პროცენტი დამთავრებულია და იმის გამო, რომ არ არის ჩაბარებული, იძარცვება და ზიანდება. მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ჩაბარება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სახლების მოსახლეობა იკისრებს თავისი ძალებით დაამთავროს სამუშაოები. გადაწყვეტილება ძალაშია წლის ბოლომდე.

გატაცებულია მედიკამენტები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 21 ივნისს, ღამის საათებში ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს ჰოსპიტლის აფთიაქი. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები.

რეკონსტრუქციით დაიწყეს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც დიდხანს თითქმის ვერ მუშაობდა და ლამის გაძარცვეს კიდეც, ახლა კვლავ ცდილობს აღიდგინოს წარსული სახელი. აქ დამთავრდა მეორე საამქროს ფოლადსადნობი ღუმელის რეკონსტრუქცია. დამთავრდა გაზსაწმენდი ნაგებობათა პირველი რიგის მშენებლობა. მთლიანად აღდგენილი და რეკონსტრუირებულია მანგანუმის ბრიკეტების წარმოების უბანი. საწარმოში ინერგება ახალი ტექნოლოგია, რომელიც გააუმჯობესებს სილიკატური მანგანუმის ხარისხს. განხორციელდა სხვა ღონისძიებანიც, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოს უფრო ეფექტიან მუშაობას.

„ამგვარი ნიჭი [illegible] ღვთისაგანაა ბოძებული!“

— ასე წერდა ამ დღეებში გერმანიის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი ჩვენს სახელოვან მევიოლინე ლიანა ისაკაძეზე, რომელიც მეხუთე წელიწადია საქართველოს კამერულ ორკესტრთან — ევროპაში საუკეთესოდ აღიარებულ კოლექტივთან ერთად მოღვაწეობს გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში. ორკესტრი და მისი დირიჟორი უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ ევროპაში. ორკესტრის დირიჟორობას ლიანა ისაკაძე ჩინებულად უთავსებს სოლო საკონცერტო მოღვაწეობას, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს მრავალრიცხოვან მუსიკის მოყვარულებში.

სულ ახლახან ლიანა ისაკაძემ ევროპის საუკეთესო სიმფონიურ ორკესტრთან „ბაიერიშე რუნდფუნკთან“ ერთად შეასრულა დიმიტრი შოსტაკოვიჩის შემოქმედების შედევრი — პირველი სავიოლინო კონცერტი. ეს ნაწარმოები მეოცე საუკუნის უმაღლესი მიღწევაა და იგი ასეთი მაშინ ხდება, როცა მას არა მარტო ფილოსოფიური, არამედ ჭეშმარიტი სულიერების მევიოლინე ასრულებს. კომპოზიტორის ვაჟიშვილის მაქსიმ შოსტაკოვიჩის გადმოცემით, მამამისი, საკუთარ ოთახში განმარტოებული, თვალცრემლიანი უსმენდა თავისი კონცერტის ჩანაწერს ლიანა ისაკაძის შესრულებით. და, აი, ეს ნაწარმოები შესთავაზა ქართველმა მევიოლინემ გერმანელ მსმენელს, რომელმაც ოცწუთიანი ოვაცია გაუმართა მუსიკოსს. ეს ოვაცია, როგორც ამ ამბის მომსწრეები ჰყვებიან, ქუჩაშიც გაგრძელებულა, სადაც მევიოლინეს აღტაცებული მსმენელები მოაცილებდნენ.

სამშობლოდან შორს მოღვაწე ლიანა ისაკაძე დიდ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. ამას წინათ მან საკუთარი სახსრებიდან 100 ათასი დოლარის ღირებულების წამლები გამოუგზავნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

ყველაფერს, რასაც ქალბატონი ლიანა საზღვარგარეთ აკეთებს, სამშობლოს სახელს უკავშირებს. ინგოლშტადტში — ბავარიის პირველ საუნივერსიტეტო ქალაქში — ორი წელიწადია მუშაობს დავით ოისტრახის სახელობის სიმებიან საკრავთა კონსერვატორია ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით. აქ პედაგოგებად მუშაობენ ქართველი მუსიკოსები, მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად სწავლობენ ქართველი ახალგაზრდები. ბავარიის მთავრობამ 15 მილიონი მარკა გამოჰყო როკოკოს პერიოდის ამ ულამაზესი შენობის რესტავრაციისათვის.

წლეულს, 17 სექტემბერს ამ შენობაში საზეიმოდ გაიხსნება დავით ოისტრახის სახელობის კონსერვატორია. აქვე დაფუძნდება საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრი. თუმცა ცენტრმა უკვე დაიწყო ფუნქციონირება. როგორც მისმა წარმომადგენელმა თამაზ ჩაჩავამ გვითხრა, მან შეადგინა 12 ქართველი მხატვრის ნაწარმოებთა შესანიშნავი კოლექცია, რომელთა გამოფენა ინგოლშტადტში კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში [illegible]ება საქველმოქმედო გამოფენა და მთელი შემოსავალი მხატვრებს გადაეცემათ. ჩაფიქრებულია აგრეთვე სხვა კულტურული ღონისძიებების გამართვაც.

საქართველო-გერმანიის ცენტრის მოღვაწეობას დიდად ეხმარება თბილისში არსებული საქართველოს კამერული მუსიკის ცენტრი თბილისის კონსერვატორიის დოცენტის რობერტ ვახტანგოვის ხელმძღვანელობით.

ამჟამად ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულე, ბრწყინვალე მუსიკოსი ლიანა ისაკაძე მოსკოვშია, სადაც ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრია.

მერი გაბრიჭიძე.

საგასტროლოდ — თბილისში

24-26 ივნისს თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შენობაში გაიმართება ვანაძორის (კიროვაკანის) ოვანეს აბელიანის სახელობის დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლები. დასი წარმოადგენს ა. ჩეხოვის „სამ დას“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ და მურაცანის ისტორიულ დრამას ორ ნაწილად „რუზანი არცახის ქალიშვილია“. სამივე სპექტაკლი, რომლებიც დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვაგე შახვერდიანმა, სინქრონულად ითარგმნება რუსულ ენაზე.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ვაგე შახვერდიანმა უთხრა, გასტროლები მოეწყო საქართველოსა და სომხეთის თეატრის მოღვაწეთა საზოგადოების ინიციატივით და სპექტაკლების მთელი შემოსავალი მოხმარდება თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის აღდგენას.

გამოცდები სკოლებში

დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახლა უჩვეულო ფუსფუსია, გამოსაშვები კლასების მოსწავლეებს გამოცდები აქვთ. საუცხოოდ ჩანს, თუ ვინ როგორ წვრთნიდა ყრმას, „ისიც, თუ ვინ როგორ გაისარჯა და ისწავლა.

22 ივნისს, ტრადიციულად, პირველი წერითი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოეწყო. მოუთმენლად ელოდა ყველა — მოსწავლეც, მშობელიც, ყველა ჩვენგანი თემების გამოცხადებას. აი, ისიც: „მეფობის ცოდო-მადლი დიდოსტატის მარჯვენის მიხედვით“, „ცხოვრების მიღება-უარყოფის პრობლემა „განდეგილის“ მიხედვით“ — [illegible] რომ განათლების მინისტრი ვიყო“.

პირველმა გამოცდამ თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ მოსწავლეთა აღმზრდელების შრომას და ჯაფას ფუჭად არ ჩაუვლია.

ამ სურათზე თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები არიან აღბეჭდილი. ღელავენ, ფიქრობენ, წერენ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები.

• • •

სიმონ კილაძის ტექსტი და ფოტო.



ალიარება

მართალი და საჭირო მონოგრაფია

პარმენ ზაქარაია ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატია

უკვე რამდენიმე წელიწადია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დაწესებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში შესრულებული საუკეთესო ნაშრომისთვის. ამ პრემიის ლაურეატი გახდა ბევრი ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერი. წლეულს ეს პრემია საუკეთესო სამეცნიერო გამოკვლევისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მიაკუთვნა ცნობილ მეცნიერს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პარმენ (ნაპო) ზაქარაიას მონოგრაფიისათვის „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება“.

სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეს დღეებში პროფესორ პარმენ ზაქარაიას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ეს მაღალი სამეცნიერო ჯილდო.

შევხვდით მას, მივულოცეთ ამ საპატიო პრემიის ლაურეატობა და ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვით გაეცნო ეს გამოკვლევა.

— მოგეხსენებათ ტაო-კლარჯეთმა რა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში. განსაკუთრებით ეს ითქმის IX-XI საუკუნეებზე. ადრეულ შუა საუკუნეებში ტაო-კლარჯეთი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო. უმდიდრესი და მრავალფეროვანი ძეგლები, რომლებიც იქ შეიქმნა და ნაწილობრივ დღემდეც მოაღწია, მათ ორგანული კავშირი აქვთ იმ მაღალმხატვრულ ძველქართულ ხუროთმოძღვრებასთან, რომელსაც დიდი ხანია მსოფლიო რეზონანსი აქვს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონის ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და ადგილი შუა პერიოდის საერთო ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციაში. ამასთანავე, გარკვევით უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული წიგნი არ შემოიფარგლება ხუროთმოძღვრების ძეგლების განხილვით, არამედ იქ მოხმობილია ხელოვნების მრავალი დარგი — ფრესკული მხატვრობა, მცირე პლასტიკა, ჩუქურთმა და მრავალი სხვა.

ტაო-კლარჯეთის მხარე სამას წელიწადზე მეტია დედასამშობლოსაგან მოწყვეტილია და იქ არსებული ქართული დიდება მზრუნველობას მოკლებულია. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი არქიტექტურული ძეგლი დაინგრა ან დაზიანდა, იყო დროის დიდი მონაკვეთი, როცა არავითარი ცნობა არ მოგვეპოვებოდა ამ რეგიონის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. XIX ს. შუა ხანებიდან კი თანდათანობით ჩნდება ცნობები ამ მხარეზე, ხოლო გარდატეხა უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ხდება, როცა აქ იმოგზაურეს ნიკო მარმა და ექვთიმე თაყაიშვილმა. ფაქტობრივად ამ ორი დიდი მეცნიერის მოღვაწეობას უნდა უმადლოდეს ქართველი თუ სხვა დაინტერესებული სპეციალისტი. ბოლო წლების გამოცემიდან გამოირჩევა აკად. ვ. ბერიძის ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის როლისადმი მიძღვნილი ნაშრომი.

ჩემი ნაშრომის შეფასებისგან თავს შევიკავებ, ამას უკეთ გაეცნობით რეცენზენტების სტატიებში, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა. მკითხველს ვთავაზობთ როგორ მაღალ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები პრემირებულ წიგნს:

• • •

ყველა ზემოხსენებული ნაშრომებისაგან განსხვავებით, პროფ. პ. ზაქარაიას სქელტანიანი მონოგრაფია, — აღნიშნავენ ისინი, — მრავალფეროვანი და პოზიტიურია. ძეგლების განხილვა იწყება V საუკუნიდან და თითქმის არ არის გამოტოვებული არც ერთი იქ არსებული მნიშვნელოვანი ნაგებობა.

ავტორი ძეგლებს იკვლევს ტიპების მიხედვით, ცხადია, ქრონოლოგიის დაცვით. ბაზილიკის ტიპს იგი იხილავს ორ ეტაპად. ადრეული, V-VI ს-ის ძეგლებიდან აღსანიშნავია წყაროსთავი, ერუშეთი და სხვა. ხოლო გვიანი, X ს-ის ბაზილიკებიდან წარმოდგენილია ისეთი მაღალი დონის ნაგებობები, როგორიცაა არის — ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამას მოსდევს ტრიკონქისა და შემდეგ ტეტრაკონქის ნაგებობები.

მონოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩნეული ხელოვნების ისეთი მაღალი დონის ძეგლებს, როგორიც არის ბანა და იშხანი. მათ ეტაპობრივად მოსდევენ ხანძთა (პორტა), ოპიზა, დოლისყანა, ენირაბათი, ტბეთი და სხვა. ნაშრომში გამორჩეული ადგილი აქვს მიჩნეული ამ რეგიონისა და, საერთოდ, საქართველოს უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, ხახულსა და ოშკს. აქ ვრცლად არის განხილული არა მარტო არქიტექტურა, არამედ უმდიდრესი რელიეფური ქანდაკება ქტიტორული გამოსახულებებითა და მრავალფეროვანი სიუჟეტური ჯგუფებით. სხვადასხვა მონაცემების მოშველიებით მკაფიოდ არის განსაზღვრული ამ ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე. კერძოდ, თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ოშკის როლი საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურაში.

წიგნში სათანადო დონეზეა წარმოდგენილი აგრეთვე ამ მხარის ციხესიმაგრეები, ხიდები და სხვა არქიტექტურული ნაგებობები.

აღნიშნულის გარდა, წიგნის მეცნიერულ ღირებულებას აქვს კიდევ მეორე მხარე. ავტორი ვრცლად და დამაჯერებლად უპასუხებს ყველა იმ ცრუ მეცნიერს, რომლებიც ტაო-კლარჯეთის ძეგლებს აკუთვნებენ სომხეთს (ნ. ტოკარსკი 1946 წ. ტ. მარუტიანი 1978 წ.). განსახილავი წიგნი სპეციალურად რუსულად არის დაწერილი, რათა მას ფართო რეზონანსი ჰქონოდა (უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ წიგნი სპეციალისტებს დაუგზავნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში).

წიგნი ვრცლად არის ილუსტრირებული ნახაზებით, ნახატებით, ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებით.

ლარისა ტატიშვილი.

წიგნის თარო

„ირმისამ“ გამოსცა

სერვანტესის საზოგადოებამ (თავმჯდომარე შადიმან ბიწაძე) და გამომცემლობა „ირმისამ“ (დირექტორი ვაჟა შუბითიძე) კარგი საჩუქარი უძღვნეს ქართველ მკითხველს. ახლახანს მათ გამოსცეს გენიალური მოაზროვნის პლატონის შედევრი „ტიმეოსი“, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინად.

წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. წიგნის სპონსორია ასლან აბაშიძის ფონდი. მალე ქართველი მკითხველი მიიღებს რამდენიმე წლის წინათ ბაჩანა ბრეგვაძის ნათარგმნ ჰენრიკ იბსენის დრამების ორტომეულს და სერვანტესის „დონ-კიხოტს“ (ორ ტომად).



პლატონის „ტიმეოსი“ მკითხველებს შეუძლიათ შეიძინონ გამომცემლობა „მერანის“ მაღაზიაში (რუსთაველის, 42), მაღაზია „ჟურნალისტში“ (მეტრო „მარჯანიშვილის“ პირდაპირ), აკადემიურ წიგნში (უნივერსიტეტთან) და პედაგოგიურ წიგნში, სამივე წიგნის სპონსორია ასლან აბაშიძის ფონდი, რომელმაც მართლაც დიდებულ, საჭირო საქმეს მოუმართა ხელი. წიგნები მცირე ტირაჟით არის გამოსული, ისე რომ, დაინტერესებულმა მკითხველმა დროზე უნდა მიაკითხოს წიგნის მაღაზიებს.

გიორგი ლალიაშვილი.

წიგნი კენედის მკვლელობაზე

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა“ გამოსცა და წიგნის მაღაზიებში იყიდება მწერალ **ბეჟან ნამიჭეიშვილის** ახალი წიგნი „მადლი“. მასში შესულია სხვადასხვა წყაროებში ავტორის მიერ მიკვლეული და თარგმნილი მეტად საინტერესო პუბლიკაციები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კე[illegible] [illegible]სალები კონსტანტინე გამსახურდიასა და ნიკა აგიაშვილის უცნობი წერილების შესახებ, სხვადასხვა ხასიათის სტატიები და მოთხრობა-დიალოგები, რომლებიც დიდი ინტერესით იკითხება.

წიგნის სპეცრედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან სვანაძე, გამომცემლობის რედაქტორი — თემურ ამყოლაძე, მხატვარი — ოთარ ქანდარია.

სარედაქციო ფოსტა

მიენიჭოს ევგენი მიქელაძის სახელი!

რედაქციამ მიიღო საქართველოს [illegible] რისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დი[illegible] [illegible] ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ბატონ ოთარ ფაცაციასადმი.

ბატონი ვახტანგი რესპუბლიკის პრემიერს სწერს: 15 წლის წინათ, — 1979 წლის იანვარში, ევგენი მიქელაძის დაბადების 75 წლისთავზე, მთავრობის წინაშე აღვძარით საკითხი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისათვის მისი სახელის [illegible] „[illegible]რანის“ ძველ შენობაში რეკონსტრუქცია რომ დამთავრდება და კინოთეატრის ადგილას ახალი საკონცერტო დარბაზი გაიხსნება, მაშინ მივანიჭოთ ორკესტრს ევგენი მიქელაძის სახელიო.

საკონცერტო დარბაზი, როგორც ვიცით, კარგა ხანია გაიხსნა, მაგრამ ვახტანგ გურგენიძის მიერ აღძრული საკითხი და ამ საკითხზე მიღებული გადაწყვე[illegible] ამ საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის იმედს იტოვებს.

ჩვენი მხრივ კი მიგვაჩნია: **დიდი ქართველი დირიჟორის სახელს დიახაც უნდა ატარებდეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს და მისი კვლავაც გაჭიანურება, ევგენი მიქელაძის ნათელი ხსოვნის მხოლოდ შეურაცხყოფა იქნება.**

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატზე

„გოლების წვიმა“

ფეხბურთელთა მეთხუთმეტე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდან ერთი კვირა გავიდა, შედეგი კი საკმაოდ უხვგოლიანია და, რაც მთავარია, ჯერჯერობით არც ერთი შეხვედრა ბურთის გაუტანლად არ დამთავრებულა. ზემოთ აღნიშნული სულაც არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ გუნდებმა „კარტები გახსნეს“ და ყველაფერი თავიანთი არსენალიდან გამოამზეურეს. სრულიადაც არა. ეს განსაკუთრებით ეხება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს — გერმანელებს, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ნახევარი ძალით მოიპოვეს მერვედფინალის საგზური.

გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ არგენტინის ნაკრებისა და მისი ლიდერის — დიეგო მარადონას თამაშს. და აი, პრემიერაც გაიმართა. პირველი შთაბეჭდილება ხშირად მოგეხსენებათ, მაცდურია, მაგრამ ამჯერად არ გვგონია, რომ ვცდებოდეთ: ქომაგთა წინაშე წარსდგა მძლავრი, მაღალი დონის სოლისტებით დაკომპლექტებული კოლექტივი, რომელიც ნებისმიერი მეტოქისათვის ძნელად დასაძლევი დაბრკოლება იქნება.

არანაკლებ ბრწყინვალედ ჩაიარა აფრიკის ჩემპიონთა — ნიგერიელთა დებიუტმა. არადა, მათ მართლაც რომ მკაცრი გამომცდელი ჰყავდათ ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მოწინააღმდეგის — ბულგარეთის სახით. მოკლედ, სავსებით რეალურად გამოიყურება სპეციალისტთა ვარაუდი: „შავი კონტინენტის“ წარმომადგენლები ელვისებურად უახლოვდებიან საფეხბურთო ელიტას.

მთლად „აირია მონასტერი“ პირველ ჯგუფში, რაც ძირითადად ტურნირის მასპინძელთა დამსახურებაა. ბორა მილუტინოვიჩის მორიგი „გამოცანა“ — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი შემდეგ ეტაპზე გავიდა. დაგვეთანხმებით, ფავორიტებად შერაცხულ კოლუმბიელებთან აკადემიურ სტილში მოპოვებული სენსაციური გამარჯვება რაღაცას მეტყველებს.

შესამჩნევად აიწია შვეიცარიელთა აქციებმა. პირველი ტურის ტრიუმფატორების — რუმინელების ასე გაცამტვერებას შემთხვევითობას ნამდვილად ვერ მიაწერთ.

გია პლატონიშვილი.

„ა“ ჯგუფი

დეტროიტი. რუმინეთი (ჰაჯი)-შვეიცარია (სუტერი, შაპიუიზა, კნუპი-2) — 1:4.

ლოს-ანჯელესი. აშშ (ესკობარი — საკუთარ კარში, სტიუარტი)-კოლუმბია (ვალენსია) — 2:1.

„ც“ ჯგუფი

ჩიკაგო: გერმანია (კლინსმანი)-ესპანეთი (გოიკოეჩეა) — 1:1.

„დ“ ჯგუფი

ბოსტონი. არგენტინა (ბატისტუტა-3, მარადონა)-საბერძნეთი—4:0.

დალასი. ნიგერია (იეკინი ამოკაჩი, ამუნიკე)-ბულგარეთი — 3:0.

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) — 3 გოლი. ფლორინ რადუჩოიუ და გეორგე ჰაჯი (ორივე რუმინეთი), ადრიან კნუპი (შვეიცარია), ხუან ანტონიო გოიკოეჩეა (ესპანეთი), ადოლფო ვალენსია (კოლუმბია) და იურგენ კლინსმანი (გერმანია) — 2-2 გოლი.

ქალაქის ჩემპიონები

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლე ორი კვირის მანძილზე მასპინძლობდა თბილისის ჩემპიონატს 1982 და 1984 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. გაეცანით ნორჩ ჩემპიონებსა და პრიზიორებს:

1982 წ.

გოგონები: სოფიკო გვეტაძე (მწვრთნელი ვალიკო ურიდია), თინათინ ჩაგელიშვილი, სოფიკო ცერცვაძე.

ჭაბუკები: გიორგი ეგრისელაშვილი (ოთარ ალხანიშვილი და ველიმერ კალანდაძე), აკაკი შარაშენიძე, მალხაზ მალხაზოვი.

1984 წ.

გოგონები: სოფიკო ნემსიწვერიძე (მიხეილ ჭიპაშვილი), ანა ახალაია, სოფიკო სუნთლიშვილი.

ჭაბუკები: მერაბ გაგუნაშვილი (თემურ ლომაია), გივი თვალავაძე, ზურაბ ნიკოლიშვილი.

[illegible]

მერაბ ჩუბინიძე

წუთისოფლის უკუღმართობამ მოგვიმრავლა ქალაქს დაკლებული კაცები, სიკვდილი გაგვიშინაურდა.

ჩვენი ტკივილი და საწუხარი დღეს მერაბ ჩუბინიძეა. ერთი წელიწადია, რაც იგი დააკლდა ქალაქს, საძმოს, ოჯახს, საყვარელ საქმეს — გეოლოგიას. იგი იყო გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უზადო სპეციალისტი, ერთგული, უღალატო მეგობარი.

მერაბის გვერდით ყოფნა ბევრს გვმატებდა, რადგან იგი განსაკუთრებული სულის კაცი იყო, ჩვენი სამეგობროს დუღაბი. ამიტომაც გაგვიჭირდა უმისობა, დაგვიმძიმდა სული მისი დაკარგვით...

მერაბთან ერთად არავის გაუჭირდებოდა ცხოვრების ხრიოკსა თუ საცალფეხოზე თამამად გავლა. გწამდა, რომ წაბორძიკებულს მისი მხარი შეგეშველებოდა, დაცემულს — წამოგაყენებდა, შეგიძახებდა, იმედს არ მოგიშლიდა!

როგორ გვჭირდება და გვაკლია შენისთანები, ჩვენო მერაბ, ამ აწეწილ ცხოვრებაში — მარად სიკეთის გამცემნი, სამაგიეროს არმომლოდინენი!..

გვჭირდები, გვაკლიხარ და გვენატრები! ამ სტრიქონებსაც შენი მონატრება ჰქვია, შენს სულთან მიახლება!..

შ. პ. ს. ფირმა „გორდა-92“-ის თანამშრომლები.

ვილი რაზმაძე

გარდაიცვალა გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი, დამსახურებული შინსახკომის მუშაკი, ომის მონაწილე ვილი კონსტანტინეს ძე რაზმაძე.

ვ. რაზმაძე დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

16 წლის ასაკიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ყველგან, სადაც იგი მუშაობდა, თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა და თავისი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელმა პროფესიონალმა. ამხანაგებს შორის დაიმსახურა დიდი პატივისცემა და სიყვარული. ვ. რაზმაძე დაჯილდოებული იყო მრავალი საპატიო სიგელით.

ჩვენგან წავიდა კეთილი, პატიოსანი ადამიანი, მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ლუდია მურცხვალაძე

გარდაიცვალა საკოლმეურნეო შრომის დამსახურებული მუშაკი, პენსიონერი ლუდია ბესარიონის ასული მურცხვალაძე.

მეუღლის დიდ სამამულო ომში გაწვევის დღიდან, 28 წლის ასაკში, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, პარალელურად კი ღირსეულად ატარა პატიოსანი, ნამუსიანი ქალის საამაყო სახელი და ქვეყანას უმამოდ დარჩენილი ორი ვაჟკაცი აღუზარდა.

იყო ცაგერის რაიონის ჩხუტელის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, დაუღალავი მშრომელი. დაჯილდოებული იყო სიგელებითა და მედლებით. ორჯერ იყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავე მშრომელთა საკავშირო გამოფენის მონაწილე მოსკოვში.

ლუდია მურცხვალაძისნაირ მანდილოსნებს დავიწყება არ უწერიათ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

ჩხუტელელი მშრომელები, ახლობლები, მეგობრები.

წმინდა ნინოს სახელობის სამკურნალო-სამონყალო ასოციაციასთან არსებული თბილისის ოჯახის ექიმის სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994/95 სასწავლო წლისათვის სამკურნალო ფაკულტეტზე.

სწავლების ვადა 5 წელია შემდგომი რეზიდენტურით, სურვილისამებრ — შემდეგ სპეციალობებში: თერაპია, ქირურგია, გინეკოლოგია, ნევროპათოლოგია, ოჯახის მკურნალი ექიმი და ვიწრო სპეციალობები: ოტოლარინგოლოგია, ოფტალმოლოგია და სხვა. სწავლება წარმოებს უცხოეთის მოწინავე ქვეყნების სასწავლო პროგრამებისა და მოდელის გათვალისწინებით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების დოკუმენტის დედანი; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); ექვსი ფოტოსურათი (3X4); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 21 ივლისიდან და ჩატარდება შემდეგ საგნებში: ბიოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქიმია.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა),
21 ივნისიდან 20 ივლისის ჩათვლით, 10-დან 16 საათამდე:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 83/11
№ 1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი.
ტელეფონი 31-20-59, 31-53-08, 31-01-90, 95-37-24.
ღია კარის დღე გაიმართება 12 ივლისს, 13 საათზე,
(ცენტრის აუდიტორიაში.

პედაგოგიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა;
2. ისტორია;
3. ქართული ენა და ლიტერატურა;
4. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.

სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა-გასაუბრება-გამოცდით. საბუთების მიღება 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 15 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ა. ყაზბეგის გამზირი 39 (ყოფილი პავლოვის) 60-ე საშუალო სკოლა (მეტროს სადგური „დელისი“)

ტელეფონები: 39-21-78, 39-39-92.

რექტორატი

თბილისის ეკონომიკისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434